

"თქვენი აფხაზეთი" A4



მსახიობი გაზეთში A8



მუსიკა კონფლიქტის ზონაში A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 2005 წელი. №191 (1051) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### რუსეთს ანგარიშებიდან ხსნიან

აშშ-ში, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ანგარიშსწორების მონიტორინგის განხორციელების მიზნით, რუსული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მასობრივი დახურვის ახალი ტალღა აგორდა.

A2

## ამბები

### დეპუტატზე თავდასხმას პოლიტიკას არ უკავშირებენ

23 აგვისტოს ღამით, დაახლოებით 10 საათზე, თბილისის ცენტრში, ქობულეთის აღმართზე შინ დაბრუნებული, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი თამაზ ყაჭეიშვილი უცნობმა პირებმა მის კუთვნილ მანქანასთან ერთად გაიტაცეს.

A2

## ამბები

### ავტოსადგურებს შორის გამართული ათწლიანი დავა მოსახლეობასაც აწუხებს

გუშინ გორის რაიონის სხვადასხვა სოფლების მოსახლეობამ ადმინისტრაციული სახლის წინ აქცია გამართა. აქცის მინაწილეები ავტოსადგურის სხვა ტერიტორიაზე გადატანას აპროტესტებდნენ.

A3

## რევიუ

### მამაცი გულის გახსენება

"ეს დღე აქამდეც უნდა აღგვენიშნა. მთელი 700 წლის განმავლობაში არავის აზრადაც არ მოსვლია, რამე გაეკეთებინა ამ კაცის ხსოვნის უკვდავსაყოფად".

A8

## ამინდი

| | 25/08 | 26 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 30 |
| ტყიბული | 36 | 31 |
| სოხუმი | 34 | 32 |
| დმანისი | 30 | 27 |
| გორი | 31 | 28 |
| ონი | 27 | 25 |
| ზუგდიდი | 39 | 35 |
| ახმეტა | 35 | 28 |
| გაგრა | 31 | 29 |
| სამტრედია | 38 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1929 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2270 |
| რუბლი | 0.0630 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| ამბები | A 5 |
| განცხადებები | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ბელარუსში ორი ქართველი "კმარელი" დააკავეს

მინსკში ორი ქართველი "კმარელი" - გიორგი კანდელაკი და ლუკა წულაძე დააკავეს. სამოქალაქო ფორმებში გამოწყობილმა პირებმა დაკავებულებს თავი სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებად წარუდგინეს. "კმარელები" ქუჩიდან, ყოველგვარი განმარტების გარეშე აიყვანეს. მათთან ერთად დააკავეს ბელარუსში მოქმედი ანალოგიური ახალგაზრდული მოძრაობის, "ზუბრის" კოორდინატორი ვლადიმერ კობეცი. ეს უკანასკნელი ორიოდე საათში გაათავისუფლეს.

მილიციის განყოფილებაში მიყვანილ ქართველ "კმარელებს" თითის ანაბეჭდები აუღეს. თუმცა, როგორც "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ განაცხადა, მათი დაკითხვა არ მომხდარა და ბელარუსელი სამართალდამცავები წულაძესა და კანდელაკს დაკავების მიზეზებს არ განუმარტავენ. დაკავებულები მინსკის მოსკოვის რაიონის პოლიციის განყოფილებაში იმყოფებიან.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის, ლევან რამიშვილის განცხადებით, დაკავება პოლიტიკური მოტივით მოხდა, თუმცა მინსკის მილიციამ, რასაკვირველია, პოლიტიკური მოტივები გამორიცხა.

ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს გათავისუფლებული ვლადიმერ კობეციც. მისი თქმით, ბელარუსის ხელისუფლებას საქართველოსა და უკრაინის მოვლენების გამეორების ეშინია.

"კმარელები" მინსკში 16 აგვისტოს "ზუბრის" მიწვევით გაემგზავრნენ. გუშინ საღამოს გავრცელდა ცნობა, რომ დაკავებულები მილიციის განყოფილებიდან მიგრაციის სამსახურში გადაიყვანეს.

ერთ-ერთი დაკავებული, გიორგი კანდელაკი, "24 საათის" ინგლისური ვერსიის თანამშრომელია.

*24 საათი*

# ათა გიბორა, მარ როშ ჰამიმშალა!

ანუ ჭარისკაცებს ნუ ესვრით, მე მესროლეთ!

გურამ ბათიაშვილი

მას შემდეგ, რაც ებრაელმა ერმა სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და დედამიწის ერთ მონაკვეთში ორი ხალხი კვლავ ერთიმეორის გვერდიგვერდ აღმოჩნდა, ცხოვრება შორეულ წარსულს დაემსგავსა: დაესხმოდნენ თავს ფილისტიმელები იუდეის ამა თუ იმ სოფელს, დახოცავდნენ ქალ-კაცთ და წაასხამდნენ პირუტყვს.

ამხედრდებოდა მეფე იუდეისა დავით, გამოუდგებოდა თავდამსხმელთ, დახოცავდა, სოფლებს გადაუწვავდა და უკან მობრუნდებოდა.

და დღე ენაცვლებოდა ღამეს, ღამის წყვდიადში იბადებოდა სინათლე, თავდასხმას ენაცვლებოდა სამაგიეროს მიზღვა, სამაგიერო აღაგზნებდა სიძულვილს და კვლავ იღვრებოდა სისხლი.

გაგრძელება A3 გვერდზე



"შენ მამაკაცი კაცი ხარ, ბატონო მთავრობის მეთაურო!"

# სავარძლისთვის ბრძოლა სასამართლოში გრძელდება

სიღნაღის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე შინაპატიმრობაში იმყოფება



კოტე ხმალაძე



თენგიზ ბეჟაშვილი

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*სიღნაღის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის სავარძლისთვის ბრძოლამ სასამართლოში გადაინაცვლა. საკრებულოს ყოფილი თვმჯდომარე თენგიზ ბეჟაშვილი თვითმმართველობის ორგანოს ამჟამინდელი ხელმძღვანელის კოტე ხმალაძის წინააღმდეგ საჩივარს საჩივარზე წერს. თავად კი, უკვე რამდენიმე თვეა, შინაპატიმრობაში და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.*

### თანამდებობებისთვის ბრძოლა

სიღნაღის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე თენგიზ ბეჟაშვილი "დაკარგული დიდების" დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ - არაპირდაპირი გზით. როგორც ირკვევა, ამჯერად ბეჟაშვილს საკრებულოს თავმჯდომარეობა მისი ყოფილი მოადგილის, ბესიკ ხატიაშვილისთვის სურს. გურჯაანის სასამართლოში გამართულ პროცესზე ხატიაშვილის დამცველი სწორედ თენგიზ ბეჟაშვილი იყო. იგი მოსამართლე შალვა მჭედლიშვილისგან სიღნაღის საკრებულოს N53 გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბიუჯეტი იზრდება

აეროპორტის საკითხი კი ისევ გაურკვეველია

*ჭორებს, სექტემბრის დასაწყისში საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესაძლო ცვლილების შესახებ, ქვეყნის მთავრობა ბიუჯეტის მორიგი ზრდის შესახებ განცხადებას უპირისპირებს. ასეთი შეპირება პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა გუშინ, მთავრობის ტრადიციულ სხდომაზე გააკეთეს.*

თამარ ხორბალაძე

**"საქართველოს ბიუჯეტი 26 პროცენტით იზრდება,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის 24 აგვისტოს სხდომაზე. **"განვიხილავთ 2005 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს და პარლამენტში წარვადგენთ. ბიუჯეტის 26-პროცენტიანი ზრდა ქვეყნის და მთავრობის წარმატების მთავარი ინდიკატორია,"** - განაცხადა ნოღაიდელმა. 452 მილიონი ლარით ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები 1 945 480-დან 2 395 480 ლარამდე აპრილში გაიზარდა. დამატებითი 452 მილიონი ლარიდან - თავდაცვის სფეროს 185 მილიონი ლარი, ხოლო ენერგეტიკულ სექტორს 164 მილიონი ლარი ერგო. განათლების რეფორმის დაფინანსებისთვის 22 მილიონი ლარი გამოიყო. ბიუჯეტი მეორედ, 86 მილიონი ლარით ივნისში გაიზარდა. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, გაზრდილი საბიუჯეტო სახსრების დასაფინანსებელ პრიორიტეტებს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი დეტალურად ჟურნალისტებს გააცნობს. პარლამენტი 2005 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების საკითხს საშემოდგომო სესიაზე განიხილავს.

### აეროპორტის მშენებლობის საკითხი 10 დღეში გადაწყდება

თუ ბიუჯეტთან დაკავშირებით მთავრობა, სავარაუდოდ, კომპლიმენტებს მოისმენს, აეროპორტის მშენებლობის უკვე ყბადაღებულ თემას სერიოზული პრობლემები შეიძლება მოჰყვეს. თუმცა, თავად მთავრობის წარმომადგენლები გუშინ ცდილობდნენ, ეს პრობლემები არ შეემჩნიათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფხაზეთში ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის ექვსთვიან პერიოდს აჯამებენ

*ორივე პოლიტიკურმა ფლანგმა, ოპოზიციამაც და ხელისუფლების მომხრეებმაც, აფხაზეთის ახალი ხელისუფლების ექვსთვიანი მოღვაწეობის შეფასება ცოტა ნაადრევად დაიწყეს. ოპოზიციამ ექვსთვიანი მუშაობის შეჯამება ერთი თვით ადრე დაიწყო და, ცხადია, ხელისუფლების საქმიანობის მიმართ სკეპტიციზმი გამოამჟღავნა. ხელისუფლების მომხრეები კი მთავრობის საქმიანობით კმაყოფილნი არიან.*

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

ოპოზიციონერთა აზრით, შესრულებული არ არის არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება. არ არის უზრუნველყოფილი საკანონმდებლო რეფორმა, არ მომხდარა ხელისუფლების სისტემისა და ადმინისტრაციული პოლიტიკის რეფორმირება, ასევე არ დაწყებულა ეროვნული პასპორტების გაცემა. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ილახება სიტყვის თავისუფლება. ამის მაგალითად მოყვანილია გაუთავებელი კონფლიქტები ოპოზიციური გაზეთების გარშემო, და ასევე, ამ გაზეთებში მომუშავე ჟურნალისტებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა კონფლიქტები.

ოპოზიციის განსაკუთრებული უკმაყოფილება სოციალური ფონით არის გამოწვეული. ოპოზიცია შეახსენებს საზოგადოებას, რომ ტარიფები ელექტროენერგიაზე და გადასახადები ორჯერ გაიზარდა. ამასთან, იგივე ანუ ოთხ დოლარზე ნაკლები დარჩა აფხაზური პენსიის ოდენობა. არ მომხდარა არც ხელფასების ზრდა, საბიუჯეტო სექტორში მომუშავეებს დაპირებული 200 დოლარი თვეში თვალითაც არ უნახავთ. საბიუჯეტო ორგანიზაციაში მომუშავის საშუალო ხელფასი კვლავინდებურად, საშუალოდ, 70-80 დოლარი რჩება. ასე რომ, ოპოზიციის აზრით, ახალმა ხელისუფლებამ სოციალურ სფეროს და მოსახლეობის ღარიბ ფენას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩინეთისა და რუსეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები

**რუს ექსპერტთა აზრით, ფერადი რევოლუციები და პოსტსაბჭოური სივრცის რეფორმა რუსეთისა და ჩინეთის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება**

*ჩინეთისა და რუსეთის ერთობლივი ერთკვირიანი სამხედრო წვრთნები, რომელიც ვლადივოსტოკის დიდი სანაოსნო პორტიდან დაიწყო, ყვითელ ზღვაში დღეს უნდა დასრულდეს.*

თიკო მაჭარაშვილი

ჩინეთმა და რუსეთმა დღეს უნდა დაასრულონ ერთკვირიანი სამხედრო წვრთნები, რომელშიც 7 000 ჩინელი და 1 800 რუსი ჯარისკაცი მონაწილეობდა. აღნიშნულ წვრთნებში გამოყენებული იყო 17 სამხედრო თვითმფრინავი და 140 სამხედრო საზღვაო ტრანსპორტი. რუსმა და ჩინელმა ჯარისკაცებმა სამხედრო წვრთნები ვლადივოსტოკში, რუსეთის აღმოსავლეთის დიდი სანაოსნო პორტიდან დაიწყეს და ყვითელ ზღვაში დაასრულეს.

**"სამხედრო მანევრების მიზანია, შევამოწმოთ ჩვენი სამხედრო ძალების მზადყოფნა,"** - განაცხადა რუსეთის არმიის მთავარმა მაიორმა იური ბალუევსკიმ.

დადგმული სცენარის მიხედვით, რუსეთსა და ჩინეთს გაერო "2005 წლის სამშვიდობო მისიას" აკისრებს. რუსი სამხედრო სპეციალისტების თქმით, რეალურად "უცნაური" სამშვიდობო მისია გამოვიდა, რადგან ოპერაციაში მონაწილეობას იღებდნენ რუსული ავიაგამანადგურებლები (TU-95 და TU-22M).

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ლავროვმა აგვისტოს დასაწყისშივე დაასახელა სამხედრო წვრთნების დაწყების თარიღი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ჩრდილოეთი კორეა და ტაივანი" იმ ქვეყნებად არ განიხილებიან, სადაც სამშვიდობო მისიით რუსეთისა და ჩინეთის სამხედრო ძალები იმყოფებიან.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ხიდაშელისა და უსუფაშვილის ავტომანქანა ავარიაში მოყვა

გუშინ საღამოს თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილზე, სოფელ ჯაპანასთან "ჯიპის" ტიპისა და "BMW"-ს მარკის ავტომანქანების ურთიერთშეჯახება მოხდა, რა დროსაც "BMW"-ს მარკის ავტომანქანა მთლიანად დაიწვა და ადგილზე დაიღუპა მისი მძღოლი. დაშავდა დამწვარ მანქანაში მჯდომი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

"ჯიპში" ისხდნენ "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერები დავით უსუფაშვილი და თინათინ ხიდაშელი და მათი მცირეწლოვანი ბავშვი. თინათინ ხიდაშელი შვილთან ერთად საავადმყოფოში მოათავსეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

*ინტერპრესნიუსი*

## ავტობუსზე თავდასხმა მკვლელობით დასრულდა

მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმას ერთი ადამიანის, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ეროვნების მაგომედ მამედოვის სიცოცხლე ემსხვერპლა. თვითმხილველთა ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან საქართველოში მომავალ სამგზავრო ავტობუსს მოულოდნელად თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული და ნიღბიანი პირი, რომლებმაც მგზავრებს 5 ათასი დოლარი გასტაცეს. ფულის გატაცების შემდეგ კი, მათ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დაიწყეს, რის შედეგადაც დაიღუპა ერთ და დაიჭრა ორი ადამიანი. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, თავდამსხმელებმა მამედოვს დამიზნებით ესროლეს, ორი მგზავრი კი შემთხვევით დაიჭრა. იცნობდნენ თუ არა თავდამსხმელები მამედოვს ან რა იყო მისი მოკვლის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია. მგზავრების თქმით, ყაჩაღები ქართულად საუბრობდნენ. თავდასხმელებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს. დაუდგენელია ექვმიტანილთა სავარაუდო წრეც. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობის მუხლით აღიძრა. დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

*24 საათი*

## დეპუტატზე თავდასხმას პოლიტიკას არ უკავშირებენ

*23 აგვისტოს ღამით, დაახლოებით 10 საათზე, თბილისის ცენტრში, ქობულეთის აღმართზე შინ დაბრუნებული, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი თამაზ ყაჭეიშვილი უცნობმა პირებმა მის კუთვნილ მანქანასთან ერთად გაიტაცეს.*

თამაზ ყაჭეიშვილის გატაცება და დაყაჩაღება, შეიძლება ითქვას, რომ პირველი შემთხვევაა, როდესაც დეპუტატზე, მით უმეტეს ოპოზიციის წარმომადგენელზე მომხდარი ძალადობა პოლიტიკური მოტივით ჩადენილად არ იქნა მონათლული.

კომპანია "ყაზბეგის" ყოფილ გენერალურ დირექტორს, ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრს და ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელს თამაზ ყაჭეიშვილს თავს მაშინ დაესხნენ, როდესაც მას, შინ დაბრუნებულს საკუთარი მანქანა ავტოფარეხში შეჰყავდა. ყაჭეიშვილს რამდენჯერმე ჩაარტყეს სახეში იარაღის კონდახი, მისსავე მანქანაში შეაგდეს და გაიტაცეს. პარლამენტარის ნაამბობის თანახმად, თავდამსხმელები ოთხნი იყვნენ. მანქანით მგზავრობისას ისინი არაფრით დაინტერესებულან, გარდა ყაჭეიშვილის მანქანის მონაცემებისა. დაზარალებულის თქმით, მათ აინტერესებდათ, რამდენი წლის იყო მანქანა, რამდენი კილომეტრი ჰქონდა გავლილი და ასე შემდეგ. საბოლოოდ, გამტაცებლებმა მძევალი მცხეთის ახლოს, ტყეში ხეზე მიაბეს, თვალები და პირი სკოჩით აუკრეს, თავად კი ყაჭეიშვილის მანქანით განაგრძეს გზა. სწორედ ხეზე მიბმული, თვალებ და პირ ახვეული აღმოაჩინა გუშინ დილით თამაზ ყაჭეიშვილი მწყემსმა და საავადმყოფოში მიიყვანა, საიდანაც 65 წლის, სასტიკად ნაცემი დეპუტატი ჯერ ნათესავების სახლში მიიყვანეს, იქიდან პოლიციაში დაკითხვაზე, შემდეგ კი რადიოლოგიის ცენტრში, სადაც მას კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევა ჩაუტარდა. ყაჭეიშვილის მკურნალი ექიმის დავით მიმინოშვილის განცხადებით, ყაჭეიშვილს აღენიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები, მომატებული აქვს შიდა ქალის წნევა, ასევე ნევროპათოლოგთან გასინჯვის შემდეგ მას კონკრეტული მითითებები მიეცემა.

გუშინვე ყაჭეიშვილი გადაადგილებას თავისით ახერხებდა და იგი საკუთარ სახლში გადაიყვანეს.

თავად ყაჭეიშვილიცა და მისი თანაპარტიელებიც ამ თავდასხმის კავშირს პოლიტიკასთან გამორიცხავენ და მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ჩვეულებრივ კრიმინალთან აქვთ. **"არ მგონია ეს თავდასხმა პოლიტიკასთან რაიმე კავშირში იყოს. ჯერჯერობით რაც იკვეთება, არის ჩვეულებრივი კრიმინალი. პროცესში გამოძიება ჩაერთო და ვნახოთ, რა იქნება მომავალში,"** - განაცხადა "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ. მანვე გამოთქვა ვარაუდი, რომ მის თანაფრაქციელ თამაზ ყაჭეიშვილზე განხორციელებული თავდასხმა ნარკოტიკებითა და გატაცებული მანქანებით ვაჭრობას უკავშირდება და მისი კვალი ცხინვალისკენ მიდის.

ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" თავმჯდომარის დავით გამყრელიძის თქმით კი, ქვეყანაში გართულებულია კრიმინოგენული ვითარება, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ყაჭეიშვილზე ყაჩაღური თავდასხმა განხორციელებულიყო. სწორედ ამის გამო მათი ფრაქცია სექტემბერში, საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე, პარლამენტის ტრიბუნიდან ხელისუფლებას მოუწოდებს ქვეყანაში არსებულ მწვავე კრიმინოგენული ვითარების გამოსწორებაზე იზრუნოს და დეპუტატ თამაზ ყაჭეიშვილის დაყაჩაღების ფაქტს უმწვავესი შეფასება მისცეს.

ყაჭეიშვილის გატაცებისა და მისი დაყაჩაღების გამო სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს პოლიციაში აღიძრა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ყაჭეიშვილი დარწმუნებულია, რომ მისი მანქანა, "ჰიუნდაის" მარკის ჯიპი გამტაცებლებს უკვე ცხინვალის რეგიონში ჰყავთ გადაყვანილი (მისი თქმით, ბოროტმოქმედები, სავარაუდოდ, წარმოშობით შიდა ქართლიდან არიან. ამ ვარაუდის საფუძველს მას მათი საუბრის კილო აძლევს), სამართალდამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ ბოროტმოქმედებს უახლოეს მომავალში დააკავებენ. ასეთი თვითდაჯერებულობის საფუძველს მათ სავარაუდოდ გუშინწინდელი წარმატება აძლევთ. კერძოდ, გუშინწინ პოლიციამ შეძლო დაეკავებინა დედაქალაქში მოქმედი შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა, ე.წ. "სვანური დაჯგუფების" წევრები, რომლებმაც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ამირან ბუაძე იარაღის მუქარით ჩასვეს მის კუთვნილ "მერსედესში", გაიტაცეს, შემდეგ ხელ-ფეხ შეკრული საბურთალოს სასაფლაოს ტერიტორიაზე დატოვეს, ავტომანქანა კი გაიტაცეს.

ბოროტმოქმედები გატაცებული ავტომანქანით მალევე, აღმაშენებლის ხეივანში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაკავებულია ჯგუფის ლიდერი, ნასამართლევი და ამჟამად, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი, 28 წლის ირაკლი ჯაფარიძე, 20 წლის გურამ ჯანდელიანი და 19 წლის რომან გულბანი. პოლიციისვე ცნობით, მათგან ამოღებულია ორი "მაკაროვის" სისტემისა და ერთი მაყუჩიანი პისტოლეტი. მიმდინარეობს გამოძიება.

*24 საათი*

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად 2005 წლის 31 მაისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა" გამარჯვებულია შპს ტელეკომპანია "მზე", რომელთანაც 2005 წლის 1 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თანხაზე: 14 849 ლარი და 10 თეთრი.

## რუსეთს ანგარიშებიდან ხსნიან

### აშშ რუსული ბანკების წინააღმდეგ აქტიურდება

*აშშ-ში, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ანგარიშსწორების მონიტორინგის განხორციელების მიზნით, რუსული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მასობრივი დახურვის ახალი ტალღა აგორდა. ბოლო ორი თვის მანძილზე ამერიკის ტერიტორიაზე საქმიანობაზე უარი ეთქვა რამდენიმე ათეულ რუსულ კომერციულ ბანკს, რომელთა შორისაა "რეგიონთაშორის საინვესტიციო ბანკი", "საპროექტო ფინანსირების ბანკი", "ისტ-ბრიჯ ბანკსი" და სხვა. ამის გამო მათი უმრავლესობა იძულებული გახდება, ანგარიშწარმოება მხოლოდ უცხოეთში მომუშავე რუსული მსხვილი ბანკების მეშვეობით მოახდინოს.*

გასულ კვირას, რამდენიმე რუსულმა ბანკმა "კომერსანტს" აცნობა, რომ მსხვილმა ამერიკულმა ბანკებმა მათი საკორესპონდენტო ანგარიშები დახურეს. ტალღის აგორების ერთ-ერთ მიზეზად გაეროს პროგრამის "ნავთობი - სურსათის სანაცვლოდ" - ირგვლივ ატეხილი სკანდალი სახელდება, რომელშიც ბევრი რუსული კომპანია აღმოჩნდა გახვეული.

ამჟამად, აშშ-ში რუსეთის ბანკ-კორესპონდენტების მიმართ მოთხოვნები ძალზე გამკაცრებულია. მათ ყველა ტრანზაქციის დასაბუთება და დამოწმება სჭირდებათ იმის დასამტკიცებლად, რომ განხორციელებული ოპერაცია ფულის გათეთრებასთან კავშირში არ არის.

გავრცელებული ინფორმაციით, მხოლოდ 2004 წლის გაზაფხულიდან 2005 წლის გაზაფხულამდე პერიოდში, ამერიკაში, დაახლოებით, 300 რუსული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში დაიხურა. მაგალითად, გასული წლის მაისში ABN Ambro-მ დსთ-ს ქვეყნების ბანკების ყველა ანგარიში დახურა. უფრო ადრე Bank of New York-მა რუსული ბანკების დიდი ნაწილის საკორესპონდენტო ანგარიშების ლიკვიდირება მოახდინა, ხოლო ნოემბერში United Bank of California-მ რუსულ კორესპონდენტ ბანკებს რუსეთთან ყოველგვარი საქმიანი კონტაქტების შეწყვეტისა და მათი ანგარიშების ლიკვიდაციის შესახებ შეატყობინა. შედეგად, დსთ-ს დაახლოებით 300 ბანკი იძულებული გახდა, ამერიკაში ახალი პარტნიორები ეძებნა. მაშინ ეს გარემოება ამერიკელი ჩინოვნიკების ზოგადი უნდობლობით აიხსნა იმ რუსული საბანკო ბიზნეს-სტრუქტურების მიმართ, რომლებიც ოფშორულ სქემებს აქტიურად იყენებდნენ. თუმცა, მოსკოვის საერთაშორისო სავალუტო ასოციაციის პრეზიდენტი ალექსეი მამონტოვი დარწმუნებულია, რომ ამჯერად **"ანგარიშების დახურვა და სხვა ქმედებები რუსეთის ცენტრალური ბანკისა და ძალოვანი სტრუქტურების მიერ არის ინიცირებული."**

ამ სიტუაციიდან, პირველ რიგში, მსხვილი რუსული და ევროპული ბანკები იღებენ სარგებელს, რადგან შედარებით პატარა რუსული საბანკო სტრუქტურები იძულებულნი ხდებიან, მათი მომსახურებით ისარგებლონ და ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს. **"ბანკები უფრო და უფრო ხშირად მოგვმართავენ, ვერ ვიტყვი, რომ ისინი "კარებს გვიმტვრევენ", რადგან ბანკ-კორესპონდენტების შერჩევის ძალიან მკაცრი სისტემა გვაქვს. მიუხედავად ამისა, მათი რიცხვის ზრდა შესამჩნევია, ამჟამად 350-ზე მეტი ბანკი აღირიცხება. ამასთან, ბოლო 3 თვის მანძილზე მათი რაოდენობა, დაახლოებით, 10 პროცენტით გაიზარდა,"** - განუცხადა "კომერსანტს" "მოსკოვის საერთაშორისო ბანკის" საფინანსო დაწესებულებების სამმართველოს უფროსმა სერგეი ტროშინინმა.

მეტიც, როგორც რუსეთის რეგიონული ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ალექსანდრ მურიჩევი ირწმუნება **"რამდენიმე მსხვილ ევროპულ ბანკში არის განწყობა, რომ რუსულ ბანკებთან დაკავშირებით ამერიკული სქემით იმოქმედონ. თუმცა, ჯერჯერობით, რაიმე ქმედებას ადგილი არ ჰქონია. წელს, ოქტომბერში დაგეგმილი გვაქვს, ურთიერთობის გარკვევის მიზნით, ევროპული ბანკების კოლეგებთან ერთად სემინარ-კონფერენცია გავმართოთ."**

როგორც გუშინ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა ინფორმაცია, რუსული ბანკების დიდი ნაწილი, რომელსაც აშშ-ს მსხვილმა საბანკო ინსტიტუტებმა საკორესპონდენტო ანგარიშები დაუხურა, აქტიურად თანამშრომლობს აფხაზეთის საბანკო სისტემასთან. **"აფხაზეთში მოქმედი საბანკო დაწესებულებები ელექტრონული ანგარიშსწორების მექანიზმით არიან დაკავშირებულნი რუსეთთან - ჩართულნი არიან რუსეთის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში "ზოლოტაია კორონა", რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია რუსეთის ფედერაციიდან აფხაზეთში და პირიქით, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი ოდენობის თანხის გადარიცხვა,"** - აცხადებენ ეროვნულ ბანკში. ამიტომაც, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის თქმით: **"ჩვენ შესაძლოა, მივმართოთ FATF-სა (ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი) და წამყვან საბანკო ქვეყნებს, რათა დაიხურონ რუსეთის იმ კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები, რომლებიც აფხაზეთის, ე. წ. კომერციული ბანკების მეშვეობით ფულის გათეთრებას ეწევიან."**

*24 საათი*

## გიორგაძეს "ეს ხომ ნანახი აქვს?!"

ნებისმიერი არჩევნების წინ, როგორც წესი, იგორ გიორგაძესთან დაკავშირებული ისტორია მეორდება - ინტერპოლის მიერ ძებნილი, უშიშროების ექსმინისტრი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისთვის მიმართავს ხოლმე. ცესკო კი მას უარით ისტუმრებს. ამჯერადაც ამ ბანალური თამაშის წესები არ დარღვეულა - გიორგაძის ნდობით აღჭურვილმა პირმა ცესკო-ს მიმართა, კომისიამ კი იგი უარით გამოისტუმრა.

ამჯერად, იგორ გიორგაძეს შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა მოუნდა - მას შუახევში უნდა ეყარა კენჭი. თუმცა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იგი რეგისტრაციაში არ გაატარა.

მოტივაცია კვლავაც იგივეა, რაც ნებისმიერი წინა უარის დროს - როგორც ცესკო-ს მდივანმა გურამ ჩალაგაშვილმა განაცხადა, იგორ გიორგაძე კანონით გათვალისწინებულ ნორმებს არ აკმაყოფილებს. უფრო ზუსტად კი, კანდიდატობის მსურველს საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში არ უცხოვრია. თანაც, კვლავაც გაურკვეველია, საიდან აქვს იგორ გიორგაძეს საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი პირადობის მოწმობა. როგორც ამბობენ, ეს დოკუმენტი ზნაურის რაიონშია გაცემული. ანუ იქ, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია იგორ გიორგაძის თემას აღარ მიუბრუნდება. სამაგიეროდ, კომისიას ხელისუფლების დაკვეთის შესრულებაში უშიშროების ექსმინისტრის მომხრეები ადანაშაულებენ. იგორ გიორგაძის მხარდამჭერი პარტია "სამართლიანობის" პოლიტიკური მდივანი რევაზ ბულია აცხადებს, რომ "გიორგაძის მიმართ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შევარდნაძის პოლიტიკა გრძელდება". "ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე გია ქავთარაძე მისი წინამორბედის, ჭიაბერაშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა. ქავთარაძე, ისევე როგორც თავის დროზე ზურაბ ჭიაბერაშვილი, იგორ გიორგაძის რეგისტრაციაში გაუტარებლობის მიზეზად ცესკო-ში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობას ასახელებს, რომლის მიხედვითაც, იგორ გიორგაძეს საქართველოში ბოლო ორი წელი არ უცხოვრია.

"გიორგაძისთვის უარის თქმით, ხელისუფლებამ არჩევნებში ღირსეული და სერიოზული მოწინააღმდეგე მოიშორა," - განაცხადა რევაზ ბულიამ.

თავის მხრივ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ იგორ გიორგაძე ერთადერთი არ არის, ვისაც, დოკუმენტების მოუწესრიგებლობის გამო, რეგისტრაციაზე უარი უთხრეს. მაგალითად, გურამ ჩალაგაშვილის ინფორმაციით, ცესკო-მ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განუცხადა "სოციალ-დემოკრატიული" პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატს კონსტანტინე ფორჩხიძეს, ასევე, საინიციატივო ჯგუფების მიერ დასახელებულ კანდიდატებს - ქართლოს ღარიბაშვილსა და შალვა ცერცვაძეს. ცესკო-ს მდივნის განმარტებით, ქართლოს ღარიბაშვილმა საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად საჭირო ფონდი არ გახსნა, დანარჩენებმა კი მხარდამჭერთა ათასკაციანი სიები არ წარმოადგინეს.

*24 საათი*

## სავარძლისთვის ბრძოლა სასამართლოში გრძელდება

პირველი გვერდიდან

ამ დოკუმენტის თანახმად, მიმდინარე წლის იანვარში საკრებულოს თვმჯდომარედ კოტე ხმალაძე აირჩიეს, ხოლო თენგიზ ბეჟაშვილს საკრებულოს უმრავლესობამ უნდობლობა გამოუცხადა.

გურჯაანში გამართულ სასამართლო პროცესზე თენგიზ ბეჟაშვილი მოსმართლეს განუმარტავდა, რომ მისი განთავისუფლების შემდეგ საკრებულოს თვმჯდომარის მოვალეობა, ავტომატურად, მის მოადგილეს ბესიკ ხატიაშვილს უნდა შეესრულებინა. კოტე ხმალაძე კი სასამართლოზე შუამდგომლობით წარდგა. იგი საქმის შეჩერებას მოითხოვდა იმ მოტივით, რომ საკრებულოს ირგვლივ ატეხილ სკანდალს პარალელურად სააპელაციო სასამრთლოც იხილავდა. აღსანიშნავია, რომ თენგიზ ბეჟაშვილის სარჩელის საფუძველზე, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ საკრებულოს N52 (ბეჟაშვილისთვის უნდობლობის გამოცხადება) და N53 (ხმალაძის არჩევა) გადაწყვეტილება გააუქმა.

**"იქნებ სააპელაციო სასამართლო უმოწმებს სიღნაღის მოსამართლეს, რომ სწორი განაჩენი გამოიტანა?! ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარეობაზე პრეტენზიები არც მე მექნება. ბეჟაშვილმა კი საჩივრებით რომ ვერაფერს მიაღწია, ახლა ხატიაშვილის საშუალებით ცდილობს შედეგს მიაღწიოს,"** - ამბობს კოტე ხმალაძე. თენგიზ ბეჟაშვილი ამბობს, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობა არც მას სურს. მისი თქმით, საკრებულოს კანონიერი ხელმძღვანელი ბესიკ ხატიაშვილია, კოტე ხმალაძეს კი იგი კორუმპირებულს უწოდებს და მუნიციპალური პროგრამიდან 20 ათასი და ავლიპ ზურაბაშვილის დღესასაწაულისთვის გამოყოფილი 50 ათასი ლარის მითვისებაში ადანაშაულებს. **"50 ათასი ლარი მან შევარდნაძის დროს მიითვისა, რომელიც ავლიპ ზურაბაშვილის საიუბილეო დღესასწაულთან დაკავშირებით გამოიყო. გარდა ამისა, სასმელი წყლის მუნიციპალური პროგრამის 100 ათასი დოლარიდან, კოტე ხმალაძის ხელში გაქრა 20 ათასი ლარი,"** - ამბობს თენგიზ ბეჟაშვილი.

ხმალაძე ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ სიმართლის დასამტკიცებლად თენგიზ ბეჟაშვილივით საჩივარს-საჩივარზე არ დაწერს, რადგან საკრებულოს ყველა სათანადო დოკუმენტაცია ფინანსურმა პოლიციამ უკვე შეამოწმა. აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით კი საბოლოო განაჩენს საოლქო პროკურატურა გამოიტანს, რადგან ზემოთმოყვანილ ბრალდებებთან დაკავშირებით ძიებას სწორედ ის აწარმოებს.

### "ორხელისუფლებიანობის" ისტორია

სიღნაღში საკრბულოს თავმჯდომარის თანამდებობისთვის ბრძოლა "ვარდების რევოლუციის" მეორე დღიდან დაიწყო. იმ დროისთვის თვითმმართველობის ორგანოს თავმჯდომარე კოტე ხმალაძე გერმანიაში მივლინებით იმყოფებოდა. საკრებულომ რევოლუციიდან რამდენიმე დღეში საგანგებო სესია მოიწვია და მოსახლეობისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ხუთი დეპუტატიდან სამმა ორის წინააღმდეგ კოტე ხმალაძე საკრებულოს თავმჯდომარეობიდან გადაირჩია და თენგიზ ბეჟაშვილი აირჩია. გადამწყვეტი ხმა დეპუტატ შოთა ჩუთლაშვილს ეკუთვნოდა.

სამშობლოში დაბრუნებულ კოტე ხმალაძეს სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია, თუმცა, საკრებულოს "ხავერდოვანი გადატრიალებიდან" ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ისევ საგანგებოდ მოწვეულ სესიაზე, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, იგივე ჩუთლაშვილის გადამწყვეტი ხმით, თენგიზ ბეჟაშვილი გადაირჩიეს და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ისევ კოტე ხმალაძე დააბრუნეს. ამის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, სამი სასამართლო პროცესი გაიმართა.

მხარეების მოსმენის შემდეგ, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ შალვა მჭედლიშვილმა "განაჩენი" გამოიტანა და კოტე ხმალაძის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. საქმე მანამდე შეჩერდა, სანამ საბოლოო სიტყვას სააპელაციო სასამართლო არ იტყვის. მოსამართლის ასეთმა გადაწყვეტილებამ თენგიზ ბეჟაშვილის განაწყენება გამოიწვია. როგორც თენგიზ ბეჟაშვილმა აღნიშნა, "ვარდების მთავრობა" მას პოლიტიკურად სდევნის. ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ იგი ამ მთავრობას ოპოზიციაში უდგას. კოტე ხმალაძე კი ამბობს, რომ **"თენგიზ ბეჟაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს დოკუმენტაცია გააყალბა და თავის დაძვრენა უნდა, რაც ვერ გამოუვა, რადაგან თენგიზ ბეჟაშვილი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და შინაპატიმრობაში იმყოფება."** ამ ინფორმაციას სიღნაღის რაიონული პოლიციის უფროსი იოსებ ხოხონიშვილიც ადასტურებს. მისი თქმით, ბეჟაშვილის მიმართ საქმე თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტების მუხლით არის აღძრული. საქმის ძიებას კი კახეთის საოლქო პროკურატურა აწარმოებს.

**"მე კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემი სიმართლის გამო მდევნიან,"** - აცხადებს ბეჟაშვილი, რომელიც, ბესიკ ხატიაშვილის ნაცვლად, თავად აპირებს მოსამართლე შალვა მჭედლიშვილის "განაჩენის" გაპროტესტებას.

## ჩინეთისა და რუსეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები

პირველი გვერდიდან

**"რატომ ატარებთ ერთობლივ სამხედრო წვრთნებს?"** - ამ კითხვაზე რუსული მხარე ცალმხრივ პასუხს ვერ სცემს.

ალექსანდრ დუგინს, "მოძრაობა ევრაზიისა" და გეოპოლიტიკური სწავლების ასოციაციის პრეზიდენტს, თავისი მოსაზრება გააჩნია დასმულ კითხვაზე. მისი აზრით, **"2003-2004 წლებში პოსტსაბჭოურ სივრცეში ფერადი რევოლუციები შემოიჭრა"**, რაც მოსკოვსა და პეკინს საერთო სამხედრო ძალების გაძლიერებისკენ უბიძგებს. **"ამერიკის ზეგავლენა აშკარა იყო საქართველოში, უკრაინაში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში. ეს ფაქტები კი მიანიშნებს, რომ ვაშინგტონს გადაწყვეტილი აქვს პოსტსაბჭოური სივრცის რეფორმა, რაც რუსეთისა და ჩინეთის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება,"** - აღნიშნა დუგინმა.

2001 წლიდან მოყოლებული მოსკოვი და პეკინი ახალი რეგიონული კოალიციის შექმნისთვის მყარ საფუძველს ქმნიან - მაგალითად, შანხაის ორგანიზაცია, რომელშიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის რუსეთსა და ჩინეთთან ერთად აზიის კიდევ ოთხი რესპუბლიკა (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი) გაერთიანდა.



*ერთობლივი სამხედრო წვრთნების მიზანი ტერორიზმის, სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა.*

ივან საფრანშუკის, თავდაცვის საკითხებში მოსკოვის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის თქმით, სამხედრო წვრთნების მიზანი რუსეთის მხრიდან **"უპირველეს ყოვლისა ჩინეთისთვის ეროვნული სამხედრო აღჭურვილობის ჩვენებაა"**. 1992 წლიდან მოყოლებული, პეკინი მოსკოვის საუკეთესო კლიენტია, რომელიც ყოველწლიურად 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობას ყიდულობს.

ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები კი კითხულობენ: **"ჩინეთის არმია ისურვებს ავიაგამანადგურებლების TU-95 და TU-22M ყიდვას, რომლებიც რუსეთმა სამხედრო წვრთნებისას გამოიყენა?"**

ჩინეთის მხარე კი აცხადებს, რომ ერთობლივი სამხედრო წვრთნების მიზანი ტერორიზმის, სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი სამხედრო მზადებაა.

საგულისხმოა, რომ რუსეთს შემდეგი სამხედრო წვრთნები ოქტომბერში ინდოეთის სამხედრო ძალებთან ერთად აქვს დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ ინდოეთი ჩინეთის შემდეგ რუსული იარაღის მეორე მნიშვნელოვანი მყიდველია.

### მოკლედ

## საქართველოს პრეზიდენტი პოლონეთს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 31 აგვისტოს ქალაქ გდანსკში პოლონეთის დემოკრატიული მოძრაობის "სოლიდარობის" დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას.

"სოლიდარობის" იუბილეს სააკაშვილთან ერთად პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი და მოძრაობა "სოლიდარობის" ერთ-ერთი დამაარსებელი ლეხ ვალენსა, ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი, პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო და სხვები დაესწრებიან.

"სოლიდარობის" იუბილეზე 28 ქვეყნის დელეგაციაა მიწვეული. **ინტერპრესნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ოფიციალური ვიზიტით ჩეხეთში იმყოფება.

გიორგი ბარამიძემ გუშინ მოლაპარაკებები ჩეხეთის საგარეო უწყების პირველ პირებთან გამართა. მანამდე კი იგი ჩეხეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს ვლადიმერ ლაშტუვსკის და ჩეხეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს მარტინ ბელჩიკს შეხვდა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ჩეხ პარტნიორებს საქართველოს მიერ გატარებული რეფორმებისა და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივებზე ესაუბრა. გიორგი ბარამიძე საქართველოში 25 აგვისტოს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს წევრები აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტსა და აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში სამეგრელოს უხუცესთა მონაწილეობას სთხოვენ.

გუშინ ზუგდიდში სამეგრელოს უხუცესთა საბჭოსა და "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების კავშირის" ერთობლივი სხდომის მონაწილეებმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშისა და აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის პავლე არძინბას სახელზე მიმართვის ტექსტი შეიმუშავეს, რომლითაც სამეგრელოს უხუცესები და ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახის წევრები აფხაზურ მხარეს ქართულ-აფახზურ მოლაპარაკებებში მათ აქტიურ ჩართვას სთხოვენ.

**"ჩვენ, ვისაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება გვაქვს და კარგად ვიცით ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორია, აფხაზებთან ნათესაური ძაფებით ვართ დაკავშირებულნი, უფლება არ გვაქვს მონაწილეობა არ მივიღოთ ქართულ-აფხაზურ დიალოგში და ჩვენი მომავალი ურთიერთობების ერთობლივად განსაზღვრაში,"** - ნათქვამია სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის ხუტა ხუფენიასა და "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების კავშირის" თავმჯდომარის რეზო ბენდელიანის მიერ ხელმოწერილ მიმართვაში, რომელიც უახლოეს დღეებში სოხუმის ხელისუფლებას გადაეცემა.

მიმართვის ავტორები სერგეი ბაგაფშს, მათთან შეხვედრის გარდა, სამეგრელოსა და აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს წევრების შეხვედრის ორგანიზებას და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე სერიოზული მსჯელობის დაწყებას სთხოვენ.

რეზო ბენდელიანის განცხადებით, ხუთშაბათს დაგეგმილ ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზური მხარის წარმომადგენლებს მიმართვას პირადად გადასცემს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სექტემბრიდან "რესპუბლიკური პარტია" განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადებას იწყებს.

როგორც პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, არჩევნებისთვის მზადება პირობითად ორ პერიოდად დაიყოფა; პირველ ეტაპზე ანუ სექტემბერ-ნოემბერში პარტიის ხელმძღვანელობა შიდასაორგანიზაციო საკითხებს გადაწყვეტს და, სავარაუდოდ, პარტიის სტრუქტურები გარკვეულწილად შეიცვლება. ნოემბრის შემდეგ კი უკვე მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყება.

"რესპუბლიკელთა" ხელმძღვანელის თქმით, ამ ეტაპზე პარტიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი რეგიონული სტრუქტურების რეორგანიზაციაა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ბიძინა ბრეგაძე, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი პავლე კუბლაშვილი და სახელმწიფო კანცელარიის საკადრო სამსახურის უფროსი კობა ხაბაზი 1 ოქტომბრისთვის დანიშნულ შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის გამო თანამდებობიდან გადადგნენ.

როგორც "ნაციონალურ მოძრაობაში" განაცხადეს, კანდიდატებმა სახელმწიფო თანამდებობებიდან გადადგომის შესახებ განცხადებები ცესკო-ში უკვე წარადგინეს.

ცნობისთვის: ბიძინა ბრეგაძე კენჭს თბილისის ისნის რაიონში იყრის, პავლე კუბლაშვილი - ტყიბულის საარჩევნო ოლქში, კობა ხაბაზი კი - ქობულეთში. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ათა გიბორა, მარ როშ ჰამიმშალა!

პირველი გვერდიდან

ასეა არიელ შარონის ეპოქაშიც. პალესტინელნი ალიკაზმებიან ტყვია-წამლით, შევლენ ავტობუსში, ხალხმრავალ რესტორანში, ან ჩადგებიან აჟრიამულებულ აცეკვებულ ახალგაზრდებს შორის, აიფეთქებენ თავს და თან გაიყოლებენ 15-20 ებრაელი ახალგაზრდის სიცოცხლეს. ამხედრდებიან ისრაელის ჯარისკაცები, შევლენ ტერორისტის სოფელში, დახოცავენ მწვრთნელებს, სახლს გადაუწვავენ მკვლელს, წამქეზებელ ნათესავ-მეგობრებს, ბრუნდებიან და დასტირიან დაღუპულ მეგობრებს.

და დღე ენაცვლება ღამეს, ღამის წყვდიადში იბადება სინათლე, რომელიც არაფერს არ ცვლის, რადგან თავდასხმას მოსდევს სამაგიეროს მიზღვა. სამაგიერო აღაგზნებს სიძულვილს და კვლავ იღვრება სისხლი.

არიელ შარონს კი, სამშობლოს დაუქანცავ ჯარისკაცს - იმისთვის, რომ მტერს ზურგამდე სდევს, ებრალთა სისხლისმღვრელს დაუსჯელს არ დატოვებს - "ქორი", "აგრესორი", "ბულდოზერი" შეარქვეს. ევროპა იმათ გამომზრდელს, ვინც ნიუ-იორკის ცათამბჯენებს ცეცხლად შეასკდა - არაფატს - დიდებულ შეხვედრებს უწყობდა, არიელ შარონს კი ჰააგის სასამართლოში უპირებდა გასამართლებას, ესენი, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები რომ ევროპული კულტურის ნამდვილი პირმშო ყოფილიყვნენ და არა ნავთობის მონა-ჩინოვნიკები, ტერორისტების გამომზრდელ იასერ არაფატს არ დაუდგებოდნენ ქომაგად. ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ მკვლელებს ულიმოდნენ, დღეს მათს ეზო-გარემოს რომ მიადგნენ. ასეთი შედეგი მოსდევს ხელისუფლებისა და სულიერების დაუზრებას.

არიელ შარონის თბილისურ ძირებზე რომ დოკუმენტურ ფილმს ვიღებდით, ერთმა ევროპელმა დიპლომატმა მერაბ კოკოჩაშვილს საყვედურივით უთხრა, არიელ შარონზე ფილმის გადაღება დემოკრატიულ სამყაროში ცუდ ტონად ჩაითვლებაო (თუმცა, კინოს სახლში, პრემიერაზე არა მხოლოდ ჩინებული ფილმი მიულოცა, ბოდიშიც მოუხადა გამოთქმული მოსაზრების გამო).

დღეს არიელ შარონი ერთობ ლოგიკურ თანმიმდევრულ პოლიტიკურ მოღვაწედ გამოიყურება, როცა საჭიროდ მიიჩნევდა, ხმალი არ ჩაუგია. დღეს, რა ირწმუნა, 1967 წლის ექვსდღიან ომში ისრაელის უშიშროების მიზნით დაკავებულმა პალესტინურმა სოფლებმა სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგეს, რა ირწმუნა, რომ სისხლი სისხლით არ განიბანება, მთავრდება ჟამი ქვათა სროლისა და დგება ჟამი ქვათა შეგროვებისა, თავის ხალხს ძნელად, ძალიან ძნელად სათქმელი რამ უთხრა - დავტოვოთ პალესტინაში ჩვენ მიერ დაკავებული ტერიტორია, ჩვენი ახალშენები, დავბრუნდეთ შინ.



არიელ შარონისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრა.

ამას ეუბნება იმ ხალხს, რომელიც ამ 30-35 წლის წინათ მოვიდა ამ უდაბნოში და წალკოტად აქცია იგი. ვერაფერმა, ვერავინ, ვერც გაერო-ს არაერთმა რეზოლუციამ, ვერც საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალამ, დემონსტრაციებმა, ყიჟინამ - აგრესორები ხართო - ვერ დაატოვებინა ისრაელს ეს ტერიტორია, დღეს კი მათი საყვარელი გენერალი, მათი ფარი და მახვილი არიელ შარონი ამბობს: - ადექით, წავიდეთ!

ამას ეუბნება იმ ხალხს, ვინც ეს ტერიტორია - უდაბნო წალკოტად აქცია, ვინც აქ ააშენა ახალი სოფლები, დაბები, პატარა დასახლებები.

რამდენი სიცოცხლე მოითხოვა უდაბნოს წალკოტად ქცევის მძიმე წლებმა, მაშინ ჭაბუკები იყვნენ და სირთულეს არ შეუშინდნენ - სიონისტური იდეებით ძლიერნი უდაბნოს ეკვეთნენ, მოაქციეს, ადამიანის ნებას დაუმორჩილეს, დღეს კი მოხუცნი არიან, ძალადაშრეტილნი და სენმორეულნი, თუმცა, ახალგაზრდებთან ერთად იარაღით იცავენ თავიანთ ეზო-კარს, შვილების სიცოცხლეს.

მე ვყოფილვარ ამ დასახლებებში, მინახავს რა ვილები, საცხოვრებელი სახლები თუ კოტეჯები ააშენეს რეპატრიანტებმა, რა მოსავალს სტაცებენ გუშინდელ უდაბნოს ეს მზით გარუჯული, უდაბნოს ხვატთან მებრძოლი ადამიანები, მინახავს სხვადასხვა ჯიშის სურნელოვანი ყვავილები ამ სახლების ეზოებში.

მეზობელ, სულ ორი-სამი კილომეტრით დაცილებულ სოფლებში კი მოხუცი არაბი თავის მიწურთან ყალიონს აბოლებს, მოზარდი თავმომაბეზრებლად მოსდევს მანქანას, ფული მაჩუქეო. ამას წინათ RTVI-ს ისრაელელი კორესპონდენტი ელლა კოზაკოვა მეუბნებოდა, თუ როგორ დასცინოდნენ პალესტინელი არაბები რეპატრიანტებს, "ამ სულელებს ჩვენს სოფლებში მოსავლის მოყვანა უნდათო".

კიდეც მოიყვანეს, კიდეც ააყვავეს იქაურობა, მაგრამ...

დღეს მთავრობის მეთაური, მათი იმედი - გენერალი შარონი ეუბნება, აჰა თქვენ ფულადი კომპენსაცია, ან ბინები სხვა რაიონებში, ეგ მიწები კი დატოვეთო.

არ გამოდიან, უფრო სწორად, ვერ გამოდიან, მონაგარს ვერ ტოვებენ. ადამიანები ვერ ტოვებენ ნაამაგარ მიწას, სახლ-კარს - უჭირთ, ძალიან უჭირთ. ძალით გამოჰყავთ. არის ნერვიული შოკი, ცრემლი. ზოგი კი... ზოგი მისდგომია და ანგრევს, ამსხვრევს წლების განმავლობაში ნაშენებ-ნალოლიავებს - საშინელი სახილველია, როცა ადამიანი თავის ნავთსაყუდარს ანგრევს: "არა, იმ ბარბაროსებს მე ამ სიკეთეს არ დავუტოვებო". და მე მაგონდება კონსტანტინე გამსახურდიას კაც ზვამბაია ("მთვარის მოტაცება"), კოლმეურნეობას ჩემს ნაამაგარ ხარებს არ ვაწილბედებო და თავად რომ გამოსჭრის ყელს თითოეულ მათგანს.

იმ ხარების ზმუილი დღესაც ყურში ჩამესმის.

ალბათ ჩემი მზერა დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ "დაივიწყებს" იმას, თუ როგორ მისდგომია ახალმოსახლე რეპატრიანტი ეზოში მოზაიკით ნაგებ აუზს და ანგრევს. მე ხომ ვიცი: ეს აუზიც, ისევე როგორც მთელი ეზო-კარი, საკუთარი, დამაშვრალი ხელით აუშენებია.

და რა გასაკვირია, რომ აუმხედრდნენ არიელ შარონს - ისრაელელთა საყვარელ მებრძოლს, სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც სიყვარულით არიკს ეძახიან.

არ დაეთანხმა, გადაუდგა კიდეც თავისივე პარტია "ლიქუდი".

ფინანსთა მინისტრობიდან გადადგა ბენიამინ ნეთანიაჰუ. ბ. ნეთანიაჰუს იმედი აქვს, რომ მთავრობიდან მისი გასვლა პოლიტიკურ კრიზისს წარმოშობს, დაინიშნება გადაუდებელი არჩევნები და პრემიერის სავარძელში მეორედ ჩაჯდება (თუმცაღა, მე რომ ა. შარონის დაუცხრომლობა ვიცი, არ არის გამორიცხული, ბ. ნეთანიაჰუ კვლავ დააბრუნოს მთავრობაში).

რომელიღაც რელიგიურმა სექტამ არიელ შარონს ცეცხლზე დაწვა გადაუწყვიტა: ბიბლიურ, ღვთივ მიერ ჩვენთვის ნაბოძებ მიწებს არაბებს რატომ უთმობო.

არიელ შარონი კი მართლაცდა ბულდოზერის სიჯიუტით და ძალით უტევს - დავტოვოთ ეგ სოფლებიო.

და იბადება კითხვა: დღეს, როცა მსოფლიოს პოლიტიკოსთა დიდი წილი პოპულიზმის ძუძუნაწოვია, დღითაც და ღამითაც იმაზე ფიქრობენ, როგორ, რით აძახებინონ ხალხს თავისი სახელი და "ვაშა-ურა", შარონი რატომ დგამს ასეთ არაპოპულარულ ნაბიჯს, რატომ აკეთებს იმას, რაც მას მდგომარეობას უმძიმებს. იგი დღეს ხომ 40-45 წლის არ არის, 78-ე წელიწადში გადადგა.

მხოლოდ 15 აგვისტოს შედრკა წამიერად, როცა დაინახა, რომ სასოწარკვეთილი ხალხი თავისსავე ჯარს აღუდგა წინ - ბარიკადები მოუწყო, წამოიძახა:

- ეგენი ბრალში არ არიან, ჯარისკაცებს ნუ ესვრით, მე მესროლეთ!

წამიერად შედრკა მოხუცი ჯარისკაცი, თორემ შარონი უკან არ იხევს.

მას ამოძრავებს მტკიცე რწმენა და მიზანი - ისრაელის მოსახლეობის უსაფრთხო შრომის სუფევის სულისკვეთება, მშვიდობიანი ყოფის კეთილდღეობის ამაღლების დიდი მიზანი.

იგი ნამდვილი ლიდერია - არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა ჭეშმარიტ ლიდერს ძალუძს. თუ მართლა ლიდერი ხარ, უნდა შეგეძლოს შენს ხალხს უთხრა ის, რასაც არ მოგიწონებს, მაგრამ თუ შენ ძლიერ გჯერა, რომ დღეს საძრახისად გამოცხადებული საქმე ხვალ შენს ქვეყანას, ხალხს წაადგება, უნდა გაუძლო - ოკეანესაც კი უნდა შეებრძოლო.

კარგა ხანია არიელ შარონმა ისრაელის ისტორიაში ადგილი დაიმკვიდრა. დღეს იგი ცდილობს, შეცვალოს ახლო აღმოსავლეთის ცხოვრების წესი. ახლა მთელი ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ახალი ფურცელი იწერება. შესაძლოა, ამ ფურცელზე ისეთი ამბავი დაიწეროს, იმდენად გრანდიოზული და ეპოქალური, რომ შარონის ადრინდელი ღვაწლი, ამაგიც კი დაჩრდილოს.

თუმცა, ისიც შეიძლება, რომ...

ეს კი ღმერთმა ნუ ჰქნას - ეს იმას ნიშნავს, პალესტინელებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ თავს - შარონი ის გენერალი არ არის, ვინმეს ტყუილი აპატიოს.

ასეა თუ ისე, ჩვენ მოწმე ვართ იმისა, სულიერად ძლიერი, ღონიერი ადამიანი როგორ ცდილობს შეცვალოს ისტორიის მდინარება.

ამიტომ მინდა თბილისიდან, იმ ქალაქიდან, სადაც მისი მშობლები სახლობდნენ, არიელ შარონს შევძახო:

- ათა გიბორა, მარ როშ ჰამიმშალა!

- შენ მამაკაცი კაცი ხარ, ბატონო მთავრობის მეთაურო!

# ავტოსადგურებს შორის გამართული ათწლიანი დავა მოსახლეობასაც აწუხებს

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გუშინ გორის რაიონის სხვადასხვა სოფლების მოსახლეობამ ადმინისტრაციული სახლის წინ აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ავტოსადგურის სხვა ტერიტორიაზე გადატანას აპროტესტებდნენ.

ავტოსადგურის გაყოფისა და მისი კომბინატის დასახლებაში გადატანის მცდელობა უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. საკვანძო ავტოსადგური - შპს "ნატვრისთვალი", დღეის მდგომარეობით მხოლოდ შიდა ქართლის და ბათუმის მარშუტებს ემსახურება. მეორე ავტოსადგურის, შპს "თათიას" ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საკვანძო ავტოსადგური გადატვირთულია და ხელისუფლებას სთხოვს, ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებულ სოფლებში ავტობუსები მათი ავტოსადგურიდან გავიდნენ.

შპს "ნატვრისთვალი" გორის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული, რაც გლეხებისთვის მეტად ხელსაყრელია, მათ მიაჩნიათ, რომ თუკი ავტოსადგური არსებული ტერიტორიიდან სხვა ადგილზე გადაინაცვლებს, ისინი იზარალებენ, რადგან სოფლიდან თითოეულ მათგანს ხილი ჩამოაქვს ბაზარში გასაყიდად.

შეკრებილ მოსახლეობას გორის რაიონის გამგებლის მოადგილე გურამ აბრამიძე შეხვდა, მისი თქმით, თუ ხალხი ავტოსადგურის გადატანის წინააღმდეგია, ის ისევ ძველ ადგილზე უნდა დარჩეს. "ეს ქვეყანა ხალხისაა და როგორც მათ უნდათ, ისე უნდა იყოს. მოვლენები, როგორ განვითარდება არ ვიცი, მაგრამ ყველაფერი იქნება ისე, როგორც ხალხი მოითხოვს."-ამბობს აბრამიძე.

შპს "თათია" გორის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილების აღსრულებას მოითხოვს, რომელზეც ხელს გორის რაიონის მაშინდელი გამგებელი ზაზა კოშაძე აწერს. გადაწყვეტილების თანახმად უნდა მოხდეს მარშრუტების გაყოფა და ლიახვის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული სოფლებში ავტობუსები ავტოსადგურ "თათიადან" უნდა გავიდნენ.

შპს "ნატვრისთვალსა" და "თათიას" შორის დავა მარშუტების გაყოფაზე ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო, როდესაც გამგეობამ ამის შესახებ პირველი გადაწყვეტილება მიიღო. მაშინ შპს "ნატვრისთვალის" ხელმძღვანელობამ გამგეობის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა და საქმეც მოიგო. თუმცა დავა არც გორის რაიონის გამგებლად ზაზა კოშაძის დანიშვნის შემდეგ დამთავრებულა. კოშაძემ ავტოსადგურები ისევ გაყო, რასაც სოფლების მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შპს "ნატვრისთვალმა" კოშაძის გადაწყვეტილებაც გაასაჩივრა, რომელიც სასამართლოს წესით შეჩერდა, მაგრამ არ გაუქმებულა.

"კოშაძის გადაწყვეტილების შეჩერებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ჩვენთან მოვიდა აღმასრულებელი და გვითხრა, რომ კოშაძის მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილება ძალაშია, ვინაიდან არ მომხდარა მისი გაუქმება," - განაცხადა "ნატვრისთავალის" დირექტორმა ალექსანდრე სამხარაძემ.

# სულხან მოლაშვილს სასამართლო დღეს დაკითხავს

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესზე გუშინ დაზარალებულების დაკითხვა დასრულდა. სააქციო საზოგადოებების "ქიმბოჭკოს", "ჩხოროწყუჰესისა" და "თბილავიამშენის" წარმომადგენლებმა სასამართლოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შესახებ მისცეს ჩვენება.

კონტროლის პალატის დასკვნის საფუძველზე, აღნიშნულ სააქციო საზოგადოებებს ბიუჯეტის სასარგებლოდ სხვადასხვა თანხის გადახდა დაეკისრათ. ამ საფუძვლით, "ქიმბოჭკომ" სახელმწიფოს ნახევარი მილიონ ლარზე მეტი გადაუხადა. სულხან მოლაშვილს პროკურატურა სააქციო საზოგადოებების შემოწმების გამო უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს. კონტროლის პალატას, პროკურატურის მტკიცებით, უფლება არ ჰქონდა შეემოწმებინა სააქციო საზოგადოება, ვინაიდან იგი არ არის სახელმწიფო დაწესებულება. კონტროლის პალატა იმ სააქციო საზოგადოებებს ამოწმებდა, სადაც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტს აღემატებოდა. სულხან მოლაშვილი მიიჩნევს, რომ პალატას ამის უფლება ჰქონდა. სულხან მოლაშვილს სასამართლო პროცესზე ჩვენება ჯერჯერობით არ მიუცია. პროკურორი მანანა მოსულიშვილის განცხადებით, სასამართლო პროცესზე სულხან მოლაშვილის დაკითხვა დღეს იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე 2004 წლის 22 აპრილს დააკავეს. მას პროკურატურა თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ედავება. პროკურატურის ინფორმაციით, განსასჯელმა სახელმწიფოსა და სხვადასხვა იურიდიულ პირს 3 მლნ ლარის ზარალი მიაყენა.

# ბიუჯეტი იზრდება

პირველი გვერდიდან

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, თურქული კომპანია "ჩელების" მიერ თბილისის ახალი აეროპორტის აშენების საკითხი საბოლოოდ 10 დღეში გადაწყდება. "ჩელებმა" 62 მილიონი დოლარის საფინანსო გარანტია სამინისტროს 10 დღის ვადაში უნდა წარუდგინოს, რათა მას თბილისის ახალი აეროვაგზლის მშენებლობის ნებართვა მიეცეს. ჩოგოვაძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ თურქული კომპანია საგარანტიო წერილს არ წარადგენს, სამინისტრო მოლაპარაკებებს სხვა კომპანიებთან განახორციელებს.

**"თავად ის ფაქტი, რომ მსხვილი კომპანია მზად არის, ყოველგვარი სახელმწიფო გარანტიების გარეშე, ჩვენს ქვეყანაში 60-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელოს, რომელსაც მხოლოდ 10 წლის განმავლობაში ამოიღებს, მიუთითებს - საქართველოსა და მისი მთავრობის მიმართ ნდობა გაზრდილია. ეს კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აეროპორტის მშენებლობა,"** - განაცხადა ჩოგოვაძემ.

რაც შეეხება ლუქსემბურგულ კომპანია "ჯი-თი-ეს"-ს, რომელიც თავდაპირველად "ჩელების" კონსორციუმში შედიოდა, ჩოგოვაძის თქმით, კომპანიას აეროვაგზლის აშენება "ჩელებისგან" დამოუკიდებლად სურს, თუმცა, სამინისტროში საბანკო გარანტია არ წარუდგენია და სახელმწიფოს მის მიმართ ვალდებულებები არ გააჩნია.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე ტენდერი 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სადაც გაიმარჯვა კონსორციუმმა თურქული "ჩელების", ლუქსემბურგული "ჯი-თი-ეს"-ის და ამერიკული "ეი-ენდ-ჯეი"-ის შემადგენლობით. ამ კომპანიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, ლუქსემბურგული კომპანია კონსორციუმს გამოეყო, რის შემდეგაც გამარჯვებულ კონსორციუმს ფინანსური პრობლემები შეექმნა.

## ყაზბეგის რაიონში სათბურების დემონტაჟი განხორციელდება

ყაზბეგის რაიონში სათბურების დემონტაჟი განხორციელდება, მოსახლეობა კი კომპენსაციას მიიღებს. ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მთავრობის კანცელარიის რეგიონული სამსახურის უფროსმა ჯამბულ ბაკურაძემ განაცხადა. ბაკურაძის თქმით, ყაზბეგის მოსახლეობისთვის გაზის მიწოდების საკითხი წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო. მისივე განცხადებით, ყაზბეგის მოსახლეობისთვის უფასოდ მიწოდებული ბუნებრივი აირის დიდი ნაწილი სათბურების გასათბობად გამოიყენებოდა. ბაკურაძის ინფორმაციით, მხოლოდ 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 6,5 მილიონი ლარი იზარალა. რეგიონული სამსახურის უფროსის განცხადებით, მთავრობის გადაწყვეტილებით, ყაზბეგში არსებულ სათბურებს სამთავრობო კომისია 10 დღის ვადაში აზომავს და სათბურის პატრონს, კომპენსაციის სახით, ერთ კვადრატულ მეტრში 35 ლარს გადაუხდის. **"თითოეული ოჯახი, საშუალოდ, 10-11 ათას ლარს მიიღებს. ეს კი საკმარისია იმისთვის, რომ მათ ახალი ბიზნესი დაიწყონ,"** - აღნიშნა ბაკურაძემ. პარალელურად, ყაზბეგის რაიონის თითოეული ოჯახი 750 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს კვლავ უფასოდ მიიღებს. **"ეს საკმარისია, რომ მთელი წლის განმავლობაში ოჯახს გათბობა და ცხელი წყალი ჰქონდეს,"** - აღნიშნა რეგიონული სამსახურის უფროსმა. **"აღნიშნული გადაწყვეტილება ყაზბეგის მოსახლეობასთან უკვე შეთანხმებულია. შესაძლოა, უთანხმოებები 2-3 პიროვნებასთან შეგვექმნას, მაგრამ ძირითად ბირთვთან საკითხი უკვე შეთანხმებულია და ვფიქრობ, პრობლემა აღარ იქნება,"** - განაცხადა ბაკურაძემ.

## კორუფციაზე

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ახლო მომავალში, შესაძლოა, გენერალურ პროკურატურასთან სპეციალური ქვედანაყოფი შეიქმნას, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციული გარიგებების გამოვლენაზე იმუშავებს. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა, ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლის ახალი პროგრამის შემუშავებას გეგმავს, რომელიც მთავრობის მომავალ სხდომაზე იქნება წარმოდგენილი. ბენდუქიძის თქმით, აღნიშნული პროგრამის განხორციელება საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებაც არის. ახალი სამოქმედო გეგმის მიხედვით, სავარაუდოდ, მოხდება სახელმწიფო უწყებების და იქ მომუშავე ჩინოვნიკების უფრო მეტი გამჭვირვალობა. შესაძლოა, ქონებრივი დეკლარაციის შევსების წესი შეიცვალოს. სახელმწიფო მინისტრს მიაჩნია, რომ აღნიშნული წესი, რომლითაც ამჟამად ქონებრივი დეკლარაციის შევსება ხდება, პიროვნების ქონებრივ მდგომარეობას რეალურად ვერ ასახავს.

# ცხინვალიდან გატაცებული ოთხი ქართველი და გენადი პეტრიაშვილი, შესაძლოა, ერთი და იმავე ჯგუფს ჰყავს

6 ივნისს ცხინვალიდან გატაცებული ოთხი ქართველის ბედი დღემდე უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი და ოსი სამართალდამცველები და რუსი მშვიდობისმყოფელები ოფიციალურად აცხადებენ, რომ გატაცებულებს ეძებენ, მათ შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს. გატაცებულთა ახლობლები კი ოჯახის წევრების დაბრუნების მოთხოვნით პერიოდულად სხვადასხვა სახის პროტესტის ფორმებს უშედეგოდ მიმართავენ. ერთ-ერთი გატაცებულის ძმა ლევან ხაჭაპურიძე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან 11 წლის გენადი პეტრიაშვილისა და აღნიშნული ოთხი ქართველის გატაცებას ერთი და იმავე ბანდიტურ ჯგუფს უკავშირებს. "ჩემი ძმის გამტაცებლები კონტაქტზე არ გამოდიან, ახლა უკვე ნაკლები იმედი მაქვს, რომ გატაცებულების ადგილსამყოფელის შესახებ რაიმე გაირკვევა. ოსური მხარის ბანდიტური დაჯგუფებების წინააღმდეგ რადიკალური მოქმედებაა საჭირო", - განაცხადა ლევან ხაჭაპურიძემ. მისივე თქმით, ის ძმის გათავისუფლების საკითხზე მოლაპარაკებებს იგი ე.წ. ავტორიტეტებთან განაგრძობს. ლევან ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ გატაცებულების ახლობლებმა და ნათესავებმა ახლო მომავალში პროტესტის ფორმას შესაძლოა ისევ მიმართონ. დღემდე უცნობია გენადი პეტრიაშვილის ადგილსამყოფელიც.

# აფხაზეთში ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის ექვსთვიან პერიოდს აჯამებენ

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის კრიტიკის მიღმა არ დარჩენილა არც სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით გამართული მოლაპარაკებათა პროცესი. საერთოდ კი, ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლების პოლიტიკა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში საფრთხეს უქმნის აფხაზეთის ნაციონალურ უსაფრთხოებას.

ოპოზიცია ხელისუფლებას იმაშიც ადანაშაულებს, რომ ქართველი დევნილები აფხაზეთში სპონტანურად ბრუნდებიან.

პროსახელისუფლებო ძალები ყურადღებას სხვა საკითხებზე ამახვილებენ. მათი აზრით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ქვეყანამ სერიოზული ეკონომიკური წინსვლა განიცადა. ხელისუფლების მომხრეთა აზრით, ომისშემდგომი აფხაზეთის ისტორიაში ინვესტიციების უპრეცედენტო შემოდინება შეინიშნება, შექმნილია უცხოური კაპიტალის ლეგალური მუშაობის პირობები, ასევე არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ჯანსაღ ეკონომიკურ საქმიანობას უზრუნველყოფს. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში აფხაზეთის ეკონომიკაში ათობით მილიონი დოლარია დაბანდებული. ახალ სიმაღლეზეა სამართალდამცავთა საქმიანობაც, უზრუნველყოფილია ტურისტების უსაფრთხოება.

აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთა ახლა უკვე ცივილიზებული მეთოდებით შეიძლება, საქართველოს საზღვართან კონტრაბანდული საქონლის ნაკადი შემცირდა და იქ ლეგალური ეკონომიკური ურთიერთობებისთვის საჭირო გარემო ყალიბდება. გალის რაიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა კრიმინოგენული ვითარება. საკუთარი წარმატებული მოღვაწეობის პიკად ხელისუფლება წლევანდელ ტურისტულ სეზონს ასახელებს. აფხაზეთში დამსვენებელთა რიცხვი წელს, შესაძლოა, მილიონნახევარს მიუახლოვდეს.

სინამდვილეში კი, ხელისუფლების ექვსთვიანი მუშაობის შეფასებისას ორივე მხარე - ოპოზიციაც და ხელისუფლების მომხრეებიც სიმართლეს ამბობენ.

ოპოზიცია უპასუხოდ ტოვებს ხელისუფლების არგუმენტებს წარმატებული ექვსთვიანი მოღვაწეობის შესახებ. არც ხელისუფლების წარმომადგენლები უთმობენ დიდ დროს ოპოზიციონერთა კრიტიკის კომენტირებას. პრობლემა სხვა რამეა. ხელისუფლებას გაცილებით უფრო მეტი აქვს სალაპარაკო ოპოზიციის კრიტიკის საპასუხოდ, ვიდრე ოპოზიციას ხელისუფლების მისამართით. ახალი ხელისუფლების სუსტი წერტილები სოციალური სფერო და პასპორტიზაციაა.

თუმცა, ვთქვათ, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის სასარგებლოდ, ხელისუფლებას საკმაოდ სერიოზული არგუმენტები აქვს. ფინანსების არარსებობის გამო ქვეყნის ენერგოსისტემა კოლაფსის ზღვარზე აღმოჩნდა. ერთ კილოვატ ელექტროენერგიაზე ტარიფის რვიდან თვრამეტ კაპიკამდე გაზრდით, ხელისუფლებამ მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა ენერგეტიკოსთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, რადგან ენერგოსისტემის რეორგანიზაციისთვის ენერგეტიკოსები ტარიფის კიდევ უფრო გაზრდას ითხოვდნენ.

უნდა ითქვას, რომ კომპანია "ჩერნომორენერგო" ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების პერიოდში ითხოვდა ტარიფების გაზრდას, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ ამ არაპოპულარული ნაბიჯისგან თავი შეიკავა, რადგან წინასაარჩევნო კამპანია კარს იყო მომდგარი. ასე რომ, ტარიფების მომატებას აფხაზეთის სათავეში მოსული ნებისმიერი ხელისუფლება ვერ აარიდებდა თავს. ოპოზიციის სხვა არგუმენტები ხელისუფლების არადამაკმაყოფილებელ მუშაობასთან დაკავშირებით, საკმაოდ სადავოა. ეს ხელფასებისა და პენსიების მომატების საკითხსაც ეხება. როგორც მთავრობის წევრები ამბობენ, ხელფასებისა და პენსიების მოსამატებლად ფულის შოვნაა საჭირო, ახალ ხელისუფლებას კი სრულიად დაცარიელებული ხაზინა დახვდა. 2005 წლის 12 თებერვალს, ახალი მთავრობის პირველ სამუშაო დღეს, აფხაზეთის ბიუჯეტში ას დოლარზე ნაკლები თანხა ირიცხებოდა.

მეორე მხრივ, ოპოზიცია არ შეიძლება არ ხედავდეს არსებით ეკონომიკურ ზრდას. ერთადერთი, რისი თქმაც ოპოზიციას ამის საწინააღმდეგოდ შეუძლია, არის ის, რომ უცხოური კაპიტალის მოჭარბება ქვეყანას ფინანსურ დამოუკიდებლობას დააკარგვინებს. მაგრამ უცხოური კაპიტალის გარეშე ქვეყნის განვითარება და ეკონომიკის რეაბილიტაცია წარმოუდგენელია.

ხელისუფლება უკვე ღიად გამოხატავს გაღიზიანებას ოპოზიციური კრიტიკის მიმართ. ოპოზიცია, და ამას ექსპერტებიც აღნიშნავენ, ბევრად უფრო პროფესიონალური გახდა. თუ ძველი ოპოზიცია, ანუ დღევანდელი ხელისუფლება, სამეცნიერო-იდეოლოგიურ დონეზე მუშაობდა, დღევანდელი აფხაზური ოპოზიცია საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ხელიდან მცირე შემთხვევასაც არ უშვებს. ოპოზიცია დღეს მზადაა, ბრძოლის "ქუჩის მეთოდები" გამოიყენოს. ოპოზიციის მიერ იმართება ქუჩის აქციები, სადაც მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობს. ამასთან, ოპოზიცია საკუთარ განცხადებებში ხელისუფლებას უკვე ღიად ადანაშაულებს ფინანსურ დარღვევებში, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში.

ხელისუფლება ოპოზიციის ბრალდებებზე, ჯერჯერობით, სერიოზულად არ რეაგირებს და, უმეტეს შემთხვევაში, მათ უპასუხოდ ტოვებს. ეს პოზიცია ხელისუფლების მომხრეების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ ოპოზიციონერთა დიდმა ნაწილმა საჯაროდ გაკეთებული ცრუ განცხადებებისთვის პასუხი უნდა აგოს.

# თავდამსხმელებმა გატაცებული გაათავისუფლეს

რამდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა სენაკის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ბორის სოსელიას, რომელსაც 06 მარკის ავტომანქანით თანამშრომელთა ხელფასები - 6.749 ლარი გადაჰქონდა. თავდამსხმელებმა ბორის სოსელიასთან ერთად გაიტაცეს ფული და ავტომანქანა. რამდენიმე საათში ავტომანქანა კურორტ მენჯის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. მოგვიანებით კი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხრეო პოლიციამ გაავრცელა ინფორმაცია ბორის სოსელიას ტყვეობიდან გათავისუფლების შესახებ. იგი გამტაცებლებმა სენაკის რაიონის სოფელ რეკასთან დატოვეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გუშინვე დაიწყო. დაიკითხა თავად სოსელია, თუმცა, სამართალდამცველებისთვის ამ ეტაპზე უცნობი რჩება თავდამსხმელთა ვინაობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რუსი სამშვიდობოების პოსტის დაცხრილვის ფაქტი გამოიძიეს

ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დამკვირვებელთა სამმხრივმა ჯგუფმა, ეუთოს მისიის მონიტორინგის ოფიცრებთან ერთად, 20 აგვისტოს სოფელ კეხვთან განლაგებული რუსი სამშვიდობოების პოსტის დაცხრილვის ფაქტი გამოძია. მონიტორინგის შედეგად სამშვიდობოების პოსტიდან ხუთასი მეტრის დაშორებით, მდინარე ლიახვის მეორე ნაპირზე აღმოაჩინეს ადგილი, საიდანაც პოსტის მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა. შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის განცხადებით, აღნიშნული პოზიცია დანაღმული აღმოჩნდა. თვითნაკეთი ასაფეთქებელი საშუალება, რომელიც მონიტორინგის ჯგუფმა განნაღმა, 400 გრამ ტროტილს შეიცავდა, აგრეთვე ელექტროდეტონატორისგან და მობილური ტელეფონისგან შედგებოდა. გამნაღმველების თქმით, ასეთი ასაფეთქებელი საშუალების დამზადება იმ ადამიანს შეეძლო, რომელსაც სპეციალური სამხედრო მომზადება გავლილი აქვს და დივერსიული საქმიანობის სიახლეები იცის. დივერსანტმა იცოდა, რომ ცეცხლის გახსნის შემდეგ სამშვიდობოები აღნიშნულ პოზიციას დაათვალიერებდნენ, რომლის დროსაც მას დისტანციური ასაფეთქებელი საშუალების ამოქმედება ჰქონდა განზრახული. **მედიანიუსი**

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

### გურამ ოდიშარიას სვეტი

## СУХУМЧИК

СУХУМЧИК - ამბობს სოხუმზე ჩემი აფხაზი მეგობარი.

ამ ქალაქს სიყვარულის ასახსნელად მარტო ეს - СУХУМЧИК ჰყოფნის და არ სჭირდება მას არავითარი დითირამბები და კომპლიმენტები.

## ვასია

ოჰ, ეს სოხუმის ჟარგონი, სლენგი, ინტონაცია მისი! "ბერეგის" ენა, ჩემი ყმაწვილკაცობის ენა, შავი ზღვის დიალექტი! ახლაც ჩამესმის მისი: **ვასია!!!**

Ей, куда кандехаешь, Вася?

Ауу, Вася, как сифонит!

Нештяк, Вася, нештяк, все под контролем!

Дибай, Вася, какие я коцы купил!

Ну и шнобель у чувака, Вася!

Ты что, кимаришь, Вася, что не врубаешься?

туфту гонишь, Вася, понт бросаешь.

Кафейнём Вася?

Это моя пацанка, Вася, смотри, держись от нее подальше!

Ну, Вася, ты что, фраер македонский, что ли!

Давай, тут бросим якорь, Вася, свежак здесь!

Курева есть, Вася?

Прикинь, Вася, фраер рога включил!

Поднажми, Вася, вот-вот начнутся танцы - манцы - прижиманцы!

Пошустри, Вася, рубчик!

Куму его гнилой базар нужен, Вася!

Барзеют, Вася, каифарики!

Братуха - Вася, одолжи шкары, стрелку имею!

Вася, ты мне только цинкани и я моментально нарисуюсь!

Выпивон кончается, Вася, наведи чалич... давай, давай, не боклан!

Ауу, Вася, какую чувиху вчера на "Локомотиве" засёк, какую, Вася, чувиху... обалдеть можно!

Клянусь махани, звякнул тебе вчера, ну звякнул, Вася, что пахан не передавал?

Зачем такой захер пускаешь, Вася, что кирюхе не веришь? Что, хипиш хочешь поднять?

Эх, Вася, Вася, вчера здорово ты нажрался, потом куда-то испарился и забил ты про меня, Вася, забил!

Где ты ходишь, Вася, где ты бродишь, куда, Вася, тебе занесло?

და ასე შემდეგ უსასრულოდ და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... უსასრულოდ...

"Вася" ეროვნებით სოხუმელი იყო და ლაღად და ბუნებრივად ერწყმოდა ნებისმიერი სოხუმელის სხვა ეროვნებას: ბერძნისას, რუსისას, აფხაზისას, ქართველისას, უკრაინელისას, ებრაელისას, სომხისას, თურქისას, ესტონელისას...

"Вася" იშვიათად, მაგრამ მაინც ოდნავ სახეცვლილი ნიუანსებითაც ჟღერდა:

Вася - вара!

Вася - Симон!

Вася - непе!

Вася - джан!

მაგრამ ხაზს ვუსვამ - "Вася" იყო "Вася", იყო სოხუმელი და მას არ ჰქონდა გვარი.

ერთი ასეთი ამბავი ვიცი: აფხაზეთის ომის დროს ორ სოხუმელ აფხაზ მეომარს ბლინდაჟი შეეშალა. წვიმდა და ქარი ქროდა (**сифонил**). ისინი რომელიღაც ბლინდაჟს მიუახლოვდნენ, მიაყურადეს და... მშობლიური **Вася** შემოესმათ. ბლინდაჟში ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ესაუბრებოდა - "Ну что, Вася, курева осталась?.."

სოხუმელ აფხაზებს გულში ეჭვადაც არ გაუვლიათ, რომ ბლინდაჟში მყოფი მეომრები აფხაზები არ იყვნენ, ისე შევიდნენ შიგნით. არადა, ბლინდაჟში სოხუმელი ქართველები იყვნენ და მათაც არ უეჭვიათ, რომ შემოსულები აფხაზები იყვნენ, რადგანაც ბლინდაჟში აფხაზებთან ერთად მათმა "Вася"-მაც შემოაღწია - "Ауу, Вася, какой калатун!... Бррр!.."

დასხდნენ ოთხივენი და სოხუმურად იბაასეს - Вася, Вася, Вася... ისაუბრეს ქალებზე, პლაჟზე, ყავაზე, შამპანურზე.

ასე რომ, შემოსულ ორს ოთხივე აფხაზი ეგონა, დამხვედრ ორს - ოთხივე ქართველი.

და მართლაც, მათ შორის თითქმის არც იყო განსხვავება: "კალაშნიკოვები" - ერთნაირი! სამხედრო ფორმა - ერთნაირი! სოხუმის ჟარგონი, სლენგი, ინტონაცია მისი, "ბერეგის" ენა, ზღვის დიალექტი - ერთნაირი!..

თითქმის მთელი საათი ისაუბრეს (ივასიეს).

და როგორ დამთავრდა ეს ისტორია?

როდესაც სოხუმელ აფხაზებს ჩრდილოკავკასიელმა ძმაკაცმა მოაკითხა, მაშინ მიხვდნენ ყველაფერს სოხუმელი ქართველები, დაასწრეს და სამთავენი დააპატიმრეს.

და მერე?

მერე რა და, სოხუმელი აფხაზები და ის ჩრდილოკავკასიელი არყითა და "ტუშონკებით" აქეიფეს და ორიოდე დღეში ქართველ ტყვეებში გაცვალეს.

ომის წესებისა და კანონების პირობაზე ეს ისტორია, რა თქმა უნდა, კარგად დამთავრდა, მაგრამ დღესაც, როგორც კი მახსენდება, მოსვენებას არ მაძლევს ეს ამბავი, მეღიმება კიდეც და თანაც გულსაც მტკენს.

უფრო გულს მტკენს, თანაც ძალიან - სოხუმელ "ვასიებს" სიცოცხლეცა და სიკვდილიც ერთნაირი ჰქონდათ! თანაც, ბედისწერა მათ ერთმანეთის სიცოცხლეს ერთმანეთისავე ხელით აღასრულებინებდა!

*2004 წლის იანვარი*

### გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები



*ბიჭვინთა, 1987 წელი. მარცხნიდან ნანა შარანგია და ნონა აგრბა შვილებთან - რუსიკოსა და ალინასთან ერთად.*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და
25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# გენერალ ზაიცევის "უჩენიები"

*გენერალი ზაიცევი ერთ-ერთი იმათგანია, რომლის გამოც ოფიციალური მოსკოვი საერთაშორისო სამართლის წინაშე პასუხს უნდა აგებდეს, ფორმალურად მაინც. მაგრამ, ჯერჯერობით, მსგავსი არაფერი ხდება. შედეგად, რუსეთის მოქალაქე, საკადრო ოფიცერი, გენერალი (გადამდგარია თუ არა სინამდვილეში, ჩვენთვის უცნობია) ხელმძღვანელობს და წვრთნის აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის არმიას და, როგორც ამბობენ, მისით ძალიან კმაყოფილია სოხუმის ხელისუფლება.*
*როგორ აღმოჩნდა გენერალი აფხაზეთში? - ნაცადი ხერხით, ისევე როგორც ნაბდზოროვი აჭარაში - გავიდა პენსიაში, იყიდა სახლი აფხაზეთში და მიაფურთხა ყოველგვარ კანონს.*
*აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო სწავლებისა და მასში მონაწილე პირების შესახებ თავის რეპორტაჟში წერს გაზეთ "კომერსანტის" კორესპონდენტი ოლგა ალენოვა. გთავაზობთ შემოკლებულ ვარიანტს.*

ზაზა ფარუაშვილი

დილის ცხრა საათზე ნაგვალოუს პოლიგონზე გაეროს დამკვირვებელთა ორი ბრონირებული მანქანა მოვიდა - ამ ორგანიზაციამ პირველად გადაწყვიტა, დასწრებოდა სამხედრო სწავლებას აფხაზეთში. რუსი მშვიდობისმყოფელები ჩვეულებრივი სამხედრო "უაზით" მოვიდნენ. მე ვკითხე მათ წარმომადგენელს, პოლკოვნიკ ონიშენკოს, მართლაც ირღვევა თუ არა ამ სწავლებით მოლაპარაკება ცეცხლის განუახლებლობის შესახებ, რასაც ქართული მხარე რამდენიმე დღის წინ აცხადებდა.

- რელიეფური საზღვრის გამო პასუხისმგებლობის ზონა უფრო დიდი აღმოჩნდა, - სხვათა შორის მიპასუხა პოლკოვნიკმა.

**- ეს პოლიგონი იმ ზონაში ვერ ხვდება?**

- იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართული მხარე მიიჩნევს, რომ ხვდება, ჩვენ აქ ვართ, როგორც უსაფრთხოების გარანტი.

**- კი, მაგრამ, თუ ეს დარღვევაა, მაშინ სწავლება უნდა ჩატარდეს სხვა ადგილას, შორს ქართული საზღვრიდან.**

- იცით, ქართული მხარე ყოველ წელს რაღაცას აცხადებს, მაგრამ ჩვენ აქ ვართ, გაეროც აქ არის - მეტი რაღა უნდათ? ჩვენ აქ ვართ სწავლების პირველივე დღიდან, ორშაბათიდან. ვაკვირდებით, როგორ მიმდინარეობს რეზერვისტების მობილიზაცია და სწავლება.

**- გაეროს დამკვირვებლებიც პირველივე დღიდან ესწრებიან?**

- არა, ისინი მხოლოდ დღეს მოვიდნენ. ჩვენ, ალბათ, უფრო გვენდობიან.

9.30 საათზე პოლიგონზე გამოჩნდა აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში, რომელიც მოსკოვიდან ძალიან კმაყოფილი დაბრუნებულა. ამბობენ, რომ მან მოაგვარა რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთის გამარტივების საკითხი. მასთან ერთად მოვიდნენ პრემიერი ალექსანდრე ანქვაბი და ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა.

აფხაზეთის გენშტაბის უფროსმა ანატოლი ზაიცევმა პრეზიდენტს მოახსენა, რომ სწავლებაში ჩართულია 6444 რეზერვისტი, პოლიგონზე დადგმულია 350 სამიზნე, მათ შორის 30 სატანკო და 5 საზღვაო.

- სწავლება დაჩქარებული ვარიანტით მიდის, - ამოიოხრა გენერალმა ზაიცევმა, - ვშიშობ, ერთ საათზე მეტხანს პატრონები არ გვეყოფა.

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ მე გვერდზე მდგომ აფხაზ ოფიცერს ვკითხე, ეს რა სწავლებაა, პატრონები თუ არ გყოფნით-მეთქი.

- ყველაფერიც გვყოფნის. უბრალოდ, ზაფხულია და გაეროს დამკვირვებლებს დაცხებათ. სიმართლე გითხრათ, მაგათ არც ველოდებოდით, მაგრამ არც მაგაშია საქმე. რათ გვინდა ჰაუბიცებიდან სროლა. დამკვირვებლებიც უკმაყოფილოები იქნებიან და ტურისტებსაც შევაშინებთ, - მითხრა პოდპოლკოვნიკმა ვალიკო ფაჩულიამ.

სამი დღის წინ ტურისტებზე არავინ დარდობდა, მით უმეტეს, რომ პოლიგონი პლიაჟიდან ერთი საათის სავალზეა.

- ომის დროს ქართულმა ჯარმა დესანტი გაგრაში გადმოსხა და ჩვენ რუსეთიდან მოგვწყვიტა. ეს არის ყველაზე რთული ვარიანტი და სწორედ მას ვამუშავებთ, - მითხრა პოდპოლკოვნიკმა ვალიკომ.

ამასობაში აფხაზმა მესაზღვრეებმა ცეცხლიც გახსნეს. ყველა მოარტყესო, კმაყოფილებით თქვა პოდპოლკოვნიკმა. გაზაფხულზე კი "ზენიტკები" 15 წუთი ისროდნენ, რომ სამიზნე დაეზიანებინათ.

- რამდენიმე თვეა, ვარჯიშობენ. გენერალმა ზაიცევმა დიდი სამუშაო გასწია, - ამიხსნა ოფიცერმა.

**- გენერალი ზაიცევი, როგორც ქართული მხარე აცხადებს, მოსკოვიდან გამოგზავნეს?** - ვკითხე მე.

- მე არ ვიცი, ვინ გამოგზავნა, მაგრამ ის კარგი გენერალია, - მოიღუშა ვალიკო.

ამასობაში გამოჩნდნენ ვერტმფრენი მი-8 და თვითმფრინავი ლ-39, რომლებიც საზღვაო სამიზნეებს ესროდნენ.

**- სად არიან თქვენი "სუ"-ები?** - ვკითხე ვალიკოს.

- აი, ესენია ჩვენი "სუ"-ები. სასწავლო თვითმფრინავია, მაგრამ - რეაქტიული, და საკმაოდ საიმედოა, - გაეცინა პოდპოლკოვნიკს.

საზღვაო სამიზნეებს სამხედრო კატერმა და ტოტებში ჩამალულმა ტანკებმა ესროლა. შემდეგ ავტომატებითა და ყუმბარმტყორცნებით დაცხრილეს პლასტმასის ფიგურები (ე.წ. საზღვაო დესანტი). სროლა ერთ საათში შეწყდა.

**- რატომ არიან რეზერვისტები სამოქალაქო ტანსაცმელში?** - ვკითხე ალექსანდრე ანქვაბს.

- იმიტომ, რომ ისინი ლოგინებიდან წამოაგდეს, მათ თავ-თავიანთ ავტომატებს სტაცეს ხელი და წავიდნენ ომში, როგორც წესია.

**- სახლებში იარაღი რატომ აქვთ?**

- ჩვენი მოსახლეობა შეიარაღებულია ჯერ კიდევ ომის დროიდან. მათ რეგისტრირებული იარაღი აქვთ. ნახეთ, აქ უმრავლესობა ომის მონაწილეა.

- აი, მხედრული სული! აი, არმია! - აღფრთოვანებული მეუბნებოდა პოლკოვნიკი ონიშენკო (მშვიდობისმყოფელთა წარმომადგენელი), - შეხედეთ იმ კაცს, მთლად ჭაღარაა, ალბათ, ასი წლისაა, მაგრამ რა გამოხედვა აქვს! ჩვენს ნახევრადმთვრალ რეზერვისტებს კი არ ჰგავს.

შევეცადე, სწავლების ორგანიზატორთან, გენერალ ზაიცევთან გამერკვია, ეხმარება თუ არა რუსეთი აფხაზეთს.

- რა თქმა უნდა, ჩვენ რუსული იარაღიც გვაქვს. აქ ხომ საბჭოთა დროს რუსეთის სამხედრო ნაწილები იდგა. მათგან ბევრი რამე დარჩა, - მითხრა გენერალმა.

**- თვითმფრინავები?**

- თვითმფრინავებიც დარჩა.

**- თქვენ თვითონ აქ როგორ მოხვდით? ამბობენ, გენშტაბის უფროსმა კვაშნინმა გამოგზავნათ.**

- მე ვმსახურობდი ბაიკალზე, სირიაში და ძალიან მომეწონა ზღვა, მზე. მომინდა ზღვაზე ცხოვრება. სად შეიძლება, რუსმა სამხედრომ ზღვაზე სახლი იყიდოს? მხოლოდ აფხაზეთში. ჩამოვედი აქ, მერე კი ჩამაჯინდნენ, არმიას უხელმძღვანელეო. მომიწია დათანხმება.

ამ დროს პრეზიდენტი ბაგაფში ჟურნალისტებს ეუბნებოდა, რომ სწავლებით კმაყოფილია.

**- შემცირებული ვარიანტით სწავლება გაეროს დამკვირვებლების გამო იყო?** - ვკითხე მას.

- ესეც არის, - როგორც ჩანს პრეზიდენტი ბაგაფში ამ კითხვას არ მოელოდა და პირდაპირ განაცხადა, - ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო, ისინი არ შემოგვეშვა, მაგრამ დასამალი არაფერი გვაქვს.

პრეზიდენტმა ბაგაფშმა თქვა, რომ ქართული მხარის პროტესტის მიუხედავად, ასეთი სწავლებები მომავალშიც გაიმართება. აფხაზეთის სამხედრო ბიუჯეტი კი გაიზრდება.



*სერგო ბაგაფში და რაულ ხაჭიმბა პოლიგონზე.*

# კომენტარი

*აღნიშნულ სწავლებასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ნიკოლოზ რურუას.*

**- როგორ შეაფასებდით აფხაზეთში გამართულ სამხედრო სწავლებას?**

- ეს არის არაღიარებული ერთეულის არალეგიტიმური ინიციატივა. არ შეიძლება, საქართველოს რომელიმე ნაწილს ჰყავდეს ავტონომიური ჯარი და ჰქონდეს საკუთარი პოლიტიკა. ეს აბსურდია. ეს არის დროებითი მოვლენა. აფხაზებს არანაირი რეგულარული ჯარი არ ჰყავთ. ეს არის ადგილობრივი ლაშქარი, რომელსაც რუსი ინსტრუქტორები წვრთნიან. მას რეგულარულ ჯარს ვერ ვუწოდებთ. უფრო, ესენია პარამილიტარული ჯგუფები, რომლებიც უკონტროლო ტერიტორიაზე დათარეშობენ.

**- რა მიზნით დაესწრნენ ამ სწავლებას გაეროს დამკვირვებლები?**

- რამდენადაც ეს იყო შეზღუდული შეიარაღების ზონაში ჩატარებული ე.წ. სამხედრო წვრთნა, რომელიც სამშვიდობოების მოქმედების არეალს არღვევს, საგარეო უწყებამ ოფიციალური



რეაგირება გააკეთა. იქ არ შეიძლებოდა, რაიმე სამხედრო სწავლება ყოფილიყო, თუნდაც - ლეგიტიმური. გაეროს დამკვირვებლებიც ამიტომ დაესწრნენ ამ აქციას. მათ აინტერესებდათ სწავლების სიმძლავრე, თუმცა სამხედრო თვალსაზრისით ასეთი სწავლება არაფერს წარმოადგენს. ეს არის დე ფაქტო ხელისუფლების პიარ-აქცია, რომელიც ცდილობს, რამენაირი ძალის დემონსტრაცია მოახდინოს.

გამოყენებული სამხედრო ტექნიკის ანალიზი, ცხადია, გაკეთებულია და ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების სარეკლამო ტრიუკი.

# ერთი კითხვა

*აფხაზურ საიტებზე ხშირად ქვეყნდება ინტერვიუები სოხუმის ხელისუფლების ლიდერებთან. ჩვენ შემოგთავაზებთ ყველაზე აქტუალურ თითო კითხვა-პასუხს მათი საუბრებიდან.*

**სერგო ბაგაფში**

**- დღეს რუსეთს საკუთარი ჯარი გაჰყავს საქართველოდან, რომელიც, თავის მხრივ, ნატო-ში შესვლას აპირებს. როგორ დაიცავთ ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის უსაფრთხოებას?**

- ჩვენ დღეს უზრუნველვყოფთ და მომავალში მზად ვართ, კიდევ უფრო გავაძლიეროთ საკუთარი უსაფრთხოება. აფხაზეთს ბევრი მეგობარი ჰყავს და ბევრია ისეთი, რომელიც ამ საქმეში ხელს გაგვიმართავს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეგობრები ჩრდილოეთ კავკასიიდან, სამხრეთ რუსეთიდან, მათ შორის - კაზაკები, საჭიროების შემთხვევაში ყოველმხრივ დაგვეხმარებიან. მე პრაგმატიკოსი ვარ და ძალიან კარგად მესმის, რომ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ საქართველოს მხრიდან აგრესიის მოსაგერიებლად. აქ ორი აზრი არ არსებობს - მხოლოდ ჩვენ და მხოლოდ საკუთარი ძალებით. თუ დაგვეხმარებიან, ყველას მადლობელი ვიქნებით, თუ არა და, ჩვენ თვითონაც მზად ვართ, დავიცვათ საკუთარი ქვეყანა.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ აფხაზური შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისათვის და ამ საკითხს უახლოეს მომავალში გადავწყვეტთ. ამიტომ, არა მგონია, რომ ჩვენს არმიას არ შეეძლება საგარეო აგრესიასთან გამკლავება. არმია - ეს ისინი არიან, ვინც ამჟამად მსახურობენ და ისინი, ვინც ადრე მსახურობდნენ - რეზერვისტები, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ხალხისა და ადამიანების სულისკვეთებაა. ჩვენი ხალხი კი არასასურველი ტონით ლაპარაკის უფლებას არავის მისცემს. ამიტომ ვიმეორებ, რომ ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს და ასე გავაგრძელებთ, ვიდრე პოლიტიკური საკითხები არ მოგვარდება. ამ საკითხების გადაწყვეტა კი იქნებოდა სამშვიდობო შეთანხმება ან სამშვიდობო დეკლარაცია შესაბამისი გარანტიებით. სხვა ვარიანტი არ არსებობს.

**ალექსანდრე ანქვაბი**

**- თქვენზე უკვე ორი თავდასხმა მოაწყვეს. რა ფაზაშია ამ საქმის გამოძიება?**

- ამის შესახებ ჰკითხეთ შსს-ს პროკურატურას და სახელმწიფო უშიშროების სამსახურს. ოპონენტებს კი, რომლებიც გვადანაშაულებენ, თითქოს ჩვენ სამშობლოს ვყიდდეთ, მინდა ვუთხრა შემდეგი. თავდასხმის შემდეგ გაზეთ "ნოვიი დენ"-ში გაჩნდა მინიშნებები იმაზე, რომ ყველაფერი იყო ინსცენირებული და პიარ-სვლა. მე ამის მთქმელსა და დამწერს ვთავაზობ, თავად გამოსცადონ ყველაფერი - ჩასხდნენ მანქანაში, რომელსაც ცეცხლს გაუხსნიან და ნახონ, რამდენად სასიამოვნო და უსაფრთხო პიარ-კამპანია გამოუვათ.

**ვლადისლავ არძინბა**

**- რას აკეთებთ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, რა გეგმები გაქვთ?**

- დასვენებას შეჩვეული არა ვარ და გარკვეული გეგმებიც გამაჩნია. თუმცა, მომავალი დაკავშირებულია არა პოლიტიკასთან, არამედ მეცნიერებასთან.

# გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1615

*გთავაზობთ რამდენიმე პუნქტს რეზოლუციიდან, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ 2005 წლის 29 ივლისის სხდომაზე მიიღო*

უშიშროების საბჭო:

- აცხადებს, რომ მხარს უჭერს დოკუმენტს - "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები".

- გამოხატავს დიდ მწუხარებას იმის გამო, რომ აფხაზური მხარე კვლავ უარს აცხადებს, განიხილოს ეს დოკუმენტი. დაბეჯითებით მოუწოდებს აფხაზურ მხარეს, მიიღოს ეს დოკუმენტი. მოუწოდებს ორივე მხარეს, ამის შემდეგ მოაწყონ ამ დოკუმენტის ღია განხილვა და დაიწყონ კონსტრუქციული მოლაპარაკებები მისი შინაარსის თაობაზე. მოუწოდებს ყველას, ვისაც გავლენა აქვს მხარეებზე, ხელი შეუწყონ ამ პროცესს.

- გამოხატავს მწუხარებას იმის გამოც, რომ პოლიტიკური სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების პროცესი პროგრესს არ განიცდის და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტების მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებს შორის მოლაპარაკებებს აფხაზეთის სტატუსის შესახებ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. და არა ის, რომ რომელიმე მხარეს თავს მოახვიოს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება.

- მოუწოდებს ორივე მხარეს, გამართონ კონსტრუქციული მოლაპარაკებები კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების მიზნით და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ გადალახონ ურთიერთუნდობლობის არსებული ბარიერი.

აღნიშნავს, რომ ორივე მხარისთვის მისაღები ვარიანტი მოითხოვს დათმობებს ორივე მხრიდან.

- მიესალმება იმას, რომ ქართული მხარე კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მომხრეა და მოუწოდებს ორივე მხარეს, მომავალშიც უარი თქვან ნებისმიერ სამხედრო რიტორიკაზე და სამხედრო ძალის გამოყენებაზე.

- შეახსენებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რაც ხელს შეუშლის სამშვიდობო პროცესის განვითარებას.

### გამოკითხვა

## ირაკლი ალასანიას განცხადებით, უნდა შეიცვალოს აფხაზეთის იზოლაციის პოლიტიკა და უნდა გამოვიყვანოთ აფხაზეთი რუსული გავლენიდან. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

**ლია გვარჯალაძე**, ფიზიკოსი, 69 წლის: "რუსეთის გავლენიდან გამოყვანა მთლიანად ვერ მოხერხდება, მაგრამ უნდა შევეცადოთ, რომ აფხაზეთი მარტო რუსეთზე არ იყოს დამოკიდებული. რუსეთს კი უნდა გავაგებინოთ, რომ არ შეიძლება ასეთი პოლიტიკის გატარება, რასაც ის აფხაზეთში ატარებს".

**რაულ კუპრავა**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი: "ეს არის პარადოქსული განცხადება. რამდენადაც მეტად მოიხსნება აფხაზეთის იზოლაცია, მით მეტად აღმოჩნდება რუსული გავლენის ქვეშ. იმდენად დიდია რუსეთთან აფხაზეთის ინტეგრაცია, არ მესმის, როგორ შეიძლება რუსული გავლენის შესუსტება, თუკი თავისუფალი მიმოსვლა იქნება. საქართველო ამ ბოლო დროს ძალიან ლოიალური გახდა ეკონომიკური ბლოკადის მხრივ, რის შედეგადაც რუსეთმა კიდევ უფრო გაშალა მხრები აფხაზეთში. მაშინ თურქეთსაც საშუალება მიეცემა, თავისუფლად იმოქმედოს, ეს კი აფხაზებს იმის ილუზიას შეუქმნის, რომ მათ შეუძლიათ ჰქონდეთ თავიანთი ქვეყანა. აფხაზებს თურქეთში დიდი დიასპორა ჰყავთ, რომელსაც თავისი ინტერესები აქვს. რუსეთის ინტერესები კარგადაა ცნობილი, ისინი აფხაზეთში ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. ქართული ზემოქმედების ბერკეტები ძალიან სუსტია, ქართული ეკონომიკა აფხაზეთში რუსეთის წინააღმდეგ ვერაფერს გახდება, რუსეთს უზარმაზარი ეკონომიკური ბერკეტები აქვს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთის იზოლაციისაგან გათავისუფლება მცდარი ნაბიჯი იქნება."

**ალექსი ჩინჩალაძე**, ექიმი, 45 წლის: "მე მგონი, სწორია ეს პოზიცია. ყველაფერი გამართლებულია იმისათვის, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდეს. მე ერთი რამ ვიცი, რომ მინდა აფხაზეთი ისევ ჩვენი იყოს და გინდა რუსები ჩამოვიდნენ აფხაზეთში დასასვენებლად თუ ეკონომიკური ურთიერთობისათვის, და გინდა - სხვა".

**მარინა კ.**, აფხაზეთიდან დევნილი, 47 წლის: "აფხაზეთის იზოლაციის მოხსნა დამოუკიდებლობის აღიარებას უდრის. ვინ შევა აფხაზეთში? ისევ და ისევ რუსები და თურქები, ევროპელები და ამერიკელები კი არა! მე მგონი, იზოლაცია მხოლოდ საქართველოს მხარეს უნდა მოიხსნას და თავისუფლად უნდა შეეძლოთ აფხაზებს აქეთ მხარეს შემოსვლა, თუკი მათ ეს დასჭირდებათ. დანარჩენი ბლოკადა ისევ უნდა დარჩეს."

**დენიზა სუმბაძე**, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროპაგანდისტული სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარე: "საერთოდ, მიმაჩნია, რომ აფხაზეთის პრობლემის მთელი დინამიკა, სახელმწიფო კურსი არის არასწორი ყველა თვალსაზრისით. საკითხები არ დასმულა ისე, როგორც საჭიროა, არადა, თუ პრობლემის მოგვარება გვინდა, ეს უნდა გაკეთდეს. პრობლემა უნდა გათავისუფლდეს არა მარტო რუსეთისაგან, არამედ აფხაზეთის პრობლემა შიდაპოლიტიკურად უნდა მოვაწესრიგოთ. თუნდაც, "ივერიიდან" დევნილების გამოსახლება ავიღოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ამ ხალხის დაბრუნება კი არ ეჩქარება აფხაზეთში, მას აფხაზეთის პრობლემა კი არ აინტერესებს, როგორც ხალხის პრობლემა, არამედ როგორც ტერიტორიული პრობლემა და სანამ ასე იქნება, აფხაზეთის საკითხი არ გადაწყდება. აფხაზეთის საკითხს ქართული პოლიტიკა აფუჭებს. ჩვენ მსოფლიო დავაჯერეთ, რომ რუსეთი მეგობარი ქვეყანაა და აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში გვეხმარება, მივეცით სამშვიდობო მანდატი რუსის ჯარს და ახლა ვაცხადებთ, რომ აფხაზეთი რუსული გავლენისაგან უნდა დავიხსნათ..."

**გურამ ბექაია**, ისტორიკოსი, 40 წლის: "სწორედ იზოლაციის გამო გახდა ლამის მთელი აფხაზეთი რუსეთის მოქალაქე და ყოველმხრივ დაუკავშირდა რუსეთს. იზოლაციის შესუსტება უნდა მოხდეს იმ თვალსაზრისით, რომ დასავლური ორგანიზაციები შევიდნენ აფხაზეთში, რაღაცა პროექტებში ჩართონ ისინი და აფხაზები მერე მაინც გაუწევენ ანგარიშს მსოფლიოს აზრს. ახლა მათ წარმოდგენაში, რუსეთისა და თურქეთის გარდა, მთელი მსოფლიო მათ წინააღმდეგაა და ეს, გარკვეულწილად, უნდობლობას და გულგრილობას იწვევს. ჟენევაში ალასანიას მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, რომ ბაგაფში ქართველი დევნილების სახლების პრივატიზაციას აპირებს, რამაც ყველა აღაშფოთა, ბაგაფშმა შეიცვალა აზრი და მოსკოვში თქვა, რომ ეს მხოლოდ ქონების აღწერაა და გაყიდვა სულაც არ უფიქრია. გამოდის, რომ იგი მაინც უწევს ანგარიშს საერთაშორისო აზრს. აფხაზეთში რუსული გავლენის შესუსტება მხოლოდ დასავლეთის შესვლით შეიძლება და აფხაზეთის კონფლიქტი დასავლეთის აქტიურმა ზეწოლამ უნდა გადაგვაწყვეტინოს."

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N033/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N57 ტყიბულის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილი კანდიდატის პავლე კუბლაშვილის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №57 ტყიბულის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის **"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **პავლე კუბლაშვილი**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N034/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N57 ტყიბულის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" მიერ წარდგენილი კანდიდატის შალვა გაბრიაძის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №57 ტყიბულის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის **"საქართველოს კონსერვატიული პარტიის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **შალვა გაბრიაძე**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N035/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N57 ტყიბულის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" მიერ წარდგენილი კანდიდატის ნინო ქვარიანის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №57 ტყიბულის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის **საარჩევნო ბლოკის "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **ნინო ქვარიანი**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N036/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის "საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის" მიერ წარდგენილი კანდიდატის კონსტანტინე ფორჩხიძისათვის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 98-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, 42-ე მუხლის, №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 22 აგვისტოს დასკვნის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ დარღვეულია 41-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები ვადგენ:

**მუხლი 1.** უარი ეთქვას რეგისტრაციაში გატარებაზე საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის **"საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის"** მიერ წარდგენილ კანდიდატს **კონსტანტინე ფორჩხიძეს**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N037/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" მიერ წარდგენილი კანდიდატის ჯიმშერ ჯინჭარაძის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის **"საქართველოს კონსერავტიული პარტიის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **ჯიმშერ ჯინჭარაძე**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N038/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N79 ბათუმის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" მიერ წარდგენილი კანდიდატის ჯუმბერ თავართქილაძის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის **"საქართველოს კონსერავტიული პარტიის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **ჯუმბერ თავართქილაძე**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N029/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N79 ბათუმის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის პოლიტიკური მოძრაობის "თავისუფლება" მიერ წარდგენილი კანდიდატის ჯემალ მაკარაძის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის **პოლიტიკური მოძრაობის "თავისუფლება"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **ჯემალ მაკარაძე**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**

**2005 წლის 22 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N039/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N79 ბათუმის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის "საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის" მიერ წარდგენილი კანდიდატის თეიმურაზ სამნიძის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნებისათვის **"საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **თეიმურაზ სამნიძე**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**

**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N040/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N82 შუახევის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის პოლიტიკური მოძრაობის "თავისუფლება" მიერ წარდგენილი კანდიდატის ზურაბ ზოიძის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №82 შუახევის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის **პოლიტიკური მოძრაობის "თავისუფლება"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **ზურაბ ზოიძე**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**

**2005 წლის 23 აგვისტო**

### მოკლედ

## რომან გოცირიძემ ყაზახური ბანკის "ტურან ალემის" დელეგაცია მიიღო

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ყაზახური ბანკის "ტურან ალემის" დელეგაცია მიიღო. დელეგაცია საქართველოში ყაზახური ბანკის წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით იმყოფება. ყაზახური ბანკის "ტურან ალემის" დაინტერესება, იპოვოს საქართველოს საბანკო ბაზარზე საკუთარი ნიშა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა. რომან გოცირიძემ სტუმრებს რეგიონის ეკონომიკური თავისებურებები გააცნო და აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონის მასშტაბით მეტად პერსპექტიული ქვეყანაა, რაც იმის საფუძველია, რომ მომავალში ყაზახური ბანკის ინტერესებს დააკმაყოფილებს.

სტუმრებმა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საკუთარი საფინანსო ანგარიში და ყაზახეთსა და დსთ-ს სივრცეში "ტურან ალემის" სტრატეგიული მიმართულებები წარუდგინეს.

"ტურან ალემს" წარმომადგენლობები აქვს რუსეთში (მოსკოვსა და ეკატერინბურგში), უკრაინაში, ჩინეთში, ბელარუსში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. შეხვედრის დასასრულს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს ყაზახური ბანკის საქმიანობას საქართველოს საბანკო კანონმდებლობის ფარგლებში. **24 საათი**

## ყაზახეთი ბათუმის პორტის განვითარებით დაინტერესდა

ყაზახური ბანკის, სს "ბანკი ტურან ალემის" ფინანსური დირექტორის ერიკ სულტანკულოვის განცხადებით, საქართველოში ბანკის წარმომადგენლობის გახსნა მათი შორს მიმავალი სტრატეგიის ნაწილია; "ბანკ ტურან ალემის" თბილისის წარმომადგენლების მიერ უკვე დამყარებულია რიგი გრძელვადიანი კონტაქტები საქართველოს წამყვან კომპანიებთან, ასევე დასახულია მუშაობის ძირითადი პერსპექტივები," - განაცხადა ერიკ სულტანკულოვმა. მისი თქმით, ყაზახეთი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს ბათუმის პორტის განვითარებაში, ნავთობის ინფრასტრუქტურის შექმნაში, იგეგმება ყაზახეთის მხრიდან ინვესტიციების განხორციელება საქართველოს ენერგეტიკაში, რაც სს "ბანკ ტურან ალემს" და ქართულ კომპანიებს შორის თანამშრომლობის წინაპირობას წარმოადგენს. **მედიანიუსი**

## ბათუმის გემთსაშენი ქარხანა იყიდება

31 აგვისტოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კიდევ ერთ მსხვილ ობიექტს, შპს "ბათუმის გემთსაშენ ქარხანას" კონკურსის წესით გაყიდის. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 7 700 000 დოლარია. აღნიშნული ობიექტის პრივატიზაციის მიზნით, კონკურსი პირველ აგვისტოს გამოცხადდა და განაცხადების მიღება 30 აგვისტომდე გაგრძელდება. "ბათუმის გემთსაშენი ქარხანა" ბათუმში მწვანეს ქუჩა N1-ში მდებარეობს. მისი საქმიანობა მცურავი საშუალებების მშენებლობა და რემონტი, ასევე მანქანა-დანადგარებისა და ლითონკონსტრუქციების წარმოებაა. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 13 774 250 ლარია. მისი დებიტორული დავალიანება - 309 837, ხოლო კრედიტორული დავალიანება 1 633 152 ლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის 24 აგვისტოს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა (5 გამყიდველის და 1 მყიდველის სტატუსით) და ეროვნულმა ბანკმა. დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 2.980.000 აშშ დოლარი შეადგინა. ეროვნულმა ბანკმა დღევანდელ ვაჭრობაში 2.780.000 დოლარი შეიძინა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის მესხიშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა, ელექტროენერგიის მოთხოვნით, ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტეს. მოსახლეობა აცხადებს, რომ დავალიანების გადახდის მიუხედავად, მათ რამდენიმე დღეა, ელექტროენერგია არ მიეწოდებათ. როგორც "მედიანიუსს" გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის იმერეთის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ქუთაისის მოსახლოებას კომპანიასთან ინდივიდუალური ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული. ამასთან, ქუთაისში მრიცხველების ცვეთადობა მაღალია და გახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მრიცხველზე ასახული ჩვენება. სადისტრიბუციო კომპანია მოსახლეობისგან ამ სხვაობის დაფარვას ითხოვს და ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას მხოლოდ ამის შემდეგ აპირებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის რაიონში გავრცელებულ საკარანტინო, მავნე პეპელასთან ბრძოლას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები კვლავ აგრძელებენ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სარეზერვო ფონდიდან აღნიშნული მწერის მოსასპობად 250 ლიტრი შესაწამლი საშუალება, პრეპარატი დცს გამოიყო. **მედიანიუსი**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N031/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილი კანდიდატის ბიძინა ბრეგაძის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის **"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **ბიძინა ბრეგაძე.**

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N032/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" მიერ წარდგენილი კანდიდატის გიორგი გოგნიაშვილის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის **"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **გიორგი გოგნიაშვილი.**

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N030/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის "საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის" მიერ წარდგენილი კანდიდატის ჟიული სიყმაშვილის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №5 ისნის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის **"საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის"** მიერ წარდგენილი კანდიდატი **ჟიული სიყმაშვილი.**

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება N041/02

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის N82 შუახევის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის საქართველოს პოლიტიკური პარტიის "სამართლიანობა" მიერ წარდგენილი კანდიდატის იგორ გიორგაძისათვის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 92-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 98-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

**მუხლი 1.** უარი ეთქვას რეგისტრაციაში გატარებაზე საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის №82 შუახევის საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი შუალედური არჩევნებისათვის **პოლიტიკური პარტიის "სამართლიანობა"** მიერ წარდგენილ კანდიდატს **იგორ გიორგაძეს**.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე**
**2005 წლის 23 აგვისტო**

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს ღია კონკურსს რკინიგზის სათადარიგო ნაწილებისა და ინსტრუმენტების შესყიდვაზე.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

რელსი P-65 (ძველვარგისი) - 15.6 ტ;
- რელსი P-50 (ძველვარგისი) - 15 ტ;
ომბოხი (კასტილი) - 1.2 ტ;
- ჭანჭიკი და ქანჩი (გრძელი ჯვარედინისათვის) N 32; 35; 38; 41; 47სმ სიგრძის - 540 კგ (90-90კგ);
- ქვედი P-65 (ძველვარგისი) - 1800 კგ;
- ქვედი P-50 (ძველვარგისი) - 2000 კგ;
- გვერდსადები P-65 (ძველვარგისი) - 2100კგ;
- გვერდსადები P-50 (ძველვარგისი) - 1100კგ;
- რკ/ბეტონის განძელი (ძველვარგისი) - 120 ცალი'
- რეზინის საფენი დიდი და პატარა - 1000 ცალი;
- ლითონის მჭრელი - 24 ცალი;
- შაბლონი - 6 ცალი;
- ძალაყინი რკინიგზის - 36 ცალი;
- ომბოხის ძალაყინი - 12 ცალი;
- რკინის ჩაქუჩი P-65, P-50 - 12 ცალი;
- ქანჩის გასაღები P-65, P-50 36-41მმ - 24 ცალი (36მმ-იანი-12;41მმ-იანი-12);
- ელექტრო მიმღები (გენერატორი) 4.5კვტ - 1 ცალი;
- ხის განძელების გადასატანი იარაღი - 6 ცალი;
- ფიწალი ღორღის ჩასაყრელად - 10 ცალი;
- თავიანი ქანჩის გასაღები 36-41მმ - 6 ცალი;
- ჭანჭიკის გამოსაგდები - 8 ცალი;
- გაზის საჭრელი აპარატი - 2 კომპლექტი;
- დომკრატი რკინიგზის ლიანდაგის (5-7ტონიანი) - 12 ცალი;
- რელსის სახვრეტი აპარატი - 2 ცალი;
- რელსის სახერხი საჭრელი აპარატი - 2 ცალი;
- იარაღის გადასატანი მანდეროლი (ურიკა) - 1 ცალი;
- თეოდოლიტი ძველვარგისი - 1 კომპლექტი;
- ნიველირი ძველვარგისი - 1 კომპლექტი;
- ჩავარდნილი ვაგონების ამომყვანი ხელსაწყო - 1 კომპლექტი

1.2 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს "მომწოდებლი"-ს მიერ საკუთარი ტრანსპორტით და ხარჯებით შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში 2005 წლის 20 სექტემბრიდან 2005 წლის 31 ოქტომბრამდე

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო "უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 29 აგვისტოს 11 საათამდე

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**4.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ) მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის და წარმოშობის სერტიფიკატი.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 30 აგვისტოს 10 საათიდან 31 აგვისტოს 17 საათამდე

7. საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: **2005 წლის 05 სექტემბრის 11 საათი**

8. კონკურსში შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით

12. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კვაშილავა შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზრვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელეფონი: 8(293) 7-01-48

**შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს**
**საკონკურსო კომისიის წევრები**
**გიორგი ცხადაძე**
**მაია თევზაძე**
**სუზანა კვაჭანტირაძე**
**ირაკლი ქელბაქიანი**

# ვაკანსიები

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **საველე უსაფრთხოების ოფიცრის** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის** თანამდებობების დასაკავებლად. **საველე უსაფრთხოების ოფიცერი** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი** წარმოადგენენ საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

## საველე უსაფრთხოების ოფიცერი

**სამუშაოს აღწერილობა:**

დაქირავებული პირი, დროის უდიდეს ნაწილს, გაატარებს ველზე და მისი მოვალეობა იქნება უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონიტორინგის წარმოება და არსებული წესების დაცვა. ამასთან ის ვალდებული იქნება, ყოველდღიური ანგარიში წარუდგინოს სამშენებლო საველე გუნდს, უზრუნველჰყოს უსაფრთხოების მართვის სისტემის მუშაობა, ხელი შეუწყოს BP-ის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების (H&S) მოთხოვნათა დაცვას. საველე უსაფრთხოების ოფიცერმა უნდა აჩვენოს, რომ მზად არის დაიცვას ყველა კანონი და განსაკუთრებით უნდა შეუწყოს ხელი კომპანიის თანამშრომელთა და კონტრაქტორთა H&S-ის უნარჩვევების განვითარებას და ამაღლებას. ასევე მუდმივად უნდა მუშაობდეს თანამშრომლებთან ყველა დონეზე უსაფრთხოების კულტურის განვითარებაზე.

**მოვალეობები და ვალდებულებები**

კონკრეტული მოვალეობები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

- დახმარების გაწევა უსაფრთხოების დაცვის კულტურის ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად H&S-ში წარმატების მიღწევის საფუძველი იქნება;
- რჩევის მიცემა და დახმარების გაწევა ყველნაირი საქმიანობებისას, რათა თანაბრად იქნას დაცული უკვე დაწესებული უსაფრთხოების პირობები, ლეგალური მოთხონები და BP-ის შიდა სტანდარტები;
- დახმარების გაწევა BP-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთოების წესების განხორციელებისას;
- კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების პროგრამების და საქმიანობების შეფასება მონიტორინგში მონაწილეობა, იმის გასარკვევად, რომ ისინი აკმაყოფილებენ BP-ის სტანდარტებსა და მოთხოვნებს;
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფრომაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის დამყარების საშუალებების უზრუნველჰყოფა, ასევე უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის განხორციელებული კამპანიების განვითარების მხარდაჭერა;
- საშინაო და საგარეო უსაფრთხოების საკითხებზე ანგარიშების შედარება და მომზადება, ისე რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სამშენებლო საველე კადრების ყოველდღიური საქმიანობების უსაფრთხოების მენეჯმენტზე;
- სამუშაო პროცედურის რისკის ანალიზში მონაწილეობა, მუშაობის დროს მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- უბედური შემთხვევის დროს გამოძიებასა და ანალიზის პროცესში აქტიური მონაწილეობა;
- უსაფრთხოების აუდიტის წარმოება რეგულარულად;
- უსაფრთხოების ტრენინგებსა და დაკვირვების პროგრამებში აქტიური მონაწილეობა;
- საგანგებო მდგომარეობისას რეაგირების ტრეინინგებში დახმარების გაწევა და რეალურ საგანგებო სიტუაციებში მონაწილეობა. ამ მიზნით დაქირავებულ პირთან დაკავშირება ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში;
- მუდმივი მონიტორინგის წარმოება და ანგარიში ჩაბარება ყოველდღიური საქმიანობების შესახებ სამშენებლო საველე ჯგუფის, ისევე როგორც უსაფრთხოების მენეჯმენტთათვის.

**მოთხოვნები:**

- მუშაობის გამოცდილება უსაფრთოების სფეროში, უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვისაც უკვე უმუშავია პროექტში;
- უმაღლესი განათლება, სასურველია ტექნიკური განხრით;
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების სრულყოფილად ფლობა;
- მართვის მოწმობა;
- კომპიუტერული პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - ის კარგი ცოდნა;
- ინტერესი და სურვილი, შეისწავლოს და განვითარდეს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში;
- ადამიანებთან ურთიერთობის უნარი და გუნდური მუშაობის გამოცდილება.

## ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

**- ხარჯების კონტროლი**

ვალდებულებების კონტროლი და ანგარიშ-ფაქტურების სწორად გამოწერა დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე, დანახარჯების კონტროლი ინდივიდუალური კონტრაქტების მიხედვით, კონტრაქტების ეტაპობრივი მოქმედების რეგულარულად შესწავლა.

**- შესრულებული სამუშაოს ღირებულება (VOWD)**

კონტრაქტის მფლობელთან ან კონტრაქტორთან ერთად პერიოდის ბოლოსთვის შესასრულებელი სამუშაოს საორიენტაციო ღირებულების (VOWD) განსაზღვრა, ფულადი სახსრების მოძრაობის ზრდის გასაანგარიშებლად.

**- ფინანსური ანგარიშები**

ყოველთვიური ანგარიშგება ბიუჯეტისა და ვალდებულებების, ვალდებულებებისა და დანახარჯების, ბიუჯეტისა და "დასრულებისას საბოლოო ღირებულების" ურთიერთშედარების შესახებ.

**- ბიუჯეტის შედგენა**

მონაცემების შეგროვება ფიზიკური სამუშაოს გეგმური გრაფიკის, ხარჯვის ფაქტობრივი ტიპებისა და მიმართულებების საფუძველზე, წლიური ბიუჯეტის პროგნოზირების მიზნით

**- ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანალიზი**

ხელფასების ფონდისა და საოფისე ხარჯების ანალიზი ხარჯების ცენტრთან მიმართებით, დროის ყოველთვიურ განაწილებათა საფუძველზე.

**- ანგარიშების ურთერთშედარება**

სისტემების და ანგარიშების ძირითად ფინანსურ საბუღალტრო სისტემასთან (SAP) ყოველთვიურად შესაბამისობაში მოყვანა და ბალანსის ყველა მუხლის კონტროლი და ურთერთშედარება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ან მისი ეკვივალენტი ეკონომიკის და ფინანსების დარგში;
- მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება საბუღალტრო ან ფინანსურ სფეროში;
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა;
- კომპიუტერთან სრულყოფილად მუშაობის უნარი.

კანდიდატს უნდა გააჩნდეს თვითმოტივაციის უნარი და შეძლოს სხვადასხვა დიაპაზონის პრობლემების სწრაფი დიაგნოზირება, ანალიზი და გადაჭრა.

**დამატებითი ინფორმაცია/განაცხადის შემოტანის წესი**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 9 სექტემბერი, პარასკევი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

## ინფორმაცია სატენდერო განცხადებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მცხეთის რაიონის გამგეობის მიერ 2005 წლის 16 აგვისტოს №186 გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ღია ტენდერის განცხადებაში (სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვროს ნაცვლად 31 დეკემბრისა 2005 წლის 14 ოქტომბრამდე.

2. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ წარმოსადგენ საკვალიფიკაციო მონაცემთა ჩამონათვალს მესამე პუნქტად დაემატოს ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მიმდინარე პერიოდში შესრულებულ ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

რკინიგზის საავადმყოფოს

**სამედიცინო კოლეჯი**

აცხადებს მიღებას:

1. მედდის; 2. ბებია ქალის; 3. ფარმაცია; 4. სტომატოლოგია;
სპეციალობებზე
მიიღებიან მოსწავლეები 9 და 11 კლასის განათლებით.
აღსანიშნავია:

**სწავლა მიმდინარეობს დღის საათებში 10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.**

გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი.**

მისამართი: დიღმის მასივი,
რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო. ტელ: 899 512524

უნიკალური წინადადება

სააქციო საზოგადოებების „საინვესტიციო კომპანია „ცანი და კომპანია" და „დამოუკიდებელი ქართული მედიისა და ბიზნესის ჯგუფის" საწესდებო კაპიტალი 1,5 მლნ ლარია, რეალურად კი დაახლოებით 8 მლნ აშშ დოლარის წმინდა ღირებულების აქტივებს ფლობენ.

ქობულეთში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესში მონაწილეობისათვის სააქციო საზოგადოებები გთავაზობენ ქობულეთში აღმაშენებლის ქ. №295 არსებული სასტუმრო „კოლხეთის" ნომრების შეძენას.

ჩვენი შემოთავაზება ასეთია: ჩვენი კომპანია ამ სასტუმროს 10%-ის წინასწარი გადახდით მიიღებს შეკვეთებს სასტუმრო „კოლხეთის" ორადგილიანი სტანდარტული ნომრების შეძენაზე. ერთი ნომრის ფასი იქნება 15 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ინვესტორისათვის, რომელიც ერთად იყიდის ბევრ ნომერს, გათვალისწინებულია ფასდაკლება: 5-დან 10-მდე ნომრის მყიდველისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 12 ათასი აშშ დოლარი. 10 და მეტი (25-მდე) ნომრის მყიდველისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 10 ათასი აშშ დოლარი. 25 და მეტი (50-მდე) ნომრის შემძენს 1 ნომერი დაუჯდება 8 ათასი აშშ დოლარი. 50 და მეტი (100-მდე) ნომრის მყიდველისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 6 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 100 ნომრის ერთად შემძენისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 5 ათასი აშშ დოლარი.

ნომრის საკუთრებაში გადაფორმებასთან ერთად მყიდველის საკუთრებაში გადაფორმდება მიწის შესაბამისი ფართი.

ნომრების რაოდენობა შეზღუდულია. შეზღუდულია აგრეთვე წინადადებების მიღებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების ვადა 2005 წლის 28 აგვისტოს 17 საათამდე.

წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების გარანტი არის ორივე კომპანია მთელი თავისი აქტივებით.



ჭავჭავაძის 74, მე-3 სართული „ცანი და კომპანია"
ტელ: 22-69-48, 877 43 86 73 არჩილი, 899 11 71 73 ნოდარი.

### ცვლილებები

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში „სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის რეაბილიტაციის პროგრამის ღონისძიებები", სადაც დაშვებული იქნა მექანიკური შეცდომა (გაზეთი „24 საათი", 18 აგვისტო 2005 წელი)

ლოტი II

| დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| პერსონალური კომპიუტერი, 17"მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი (UPS) | 250 |
| მცირე სისტემური სერვერი (Workstation) და უწყვეტი კვების ბლოკი | 48 |
| უწყვეტი კვების წყარო მომუშავე Online რეჟიმში | 28 |
| გენერატორი | 23 |
| ქსელური პრინტერი | 80 |
| ქსელური პრინტერი | 30 |
| სკანერი | 35 |
| ასლის გადამღები აპარატი | 60 |
| ფაქსის აპარატი | 65 |
| ლეპტოპი თავისი ჩანთით | 22 |
| ქსელის დამცავი გადამრთველი (Switch) | 28 |
| ქსელის როუტერი | 1 |
| სატელ. აპარატი | 51 |
| ქსელის გადამრთველი (Switch) | 44 |
| ქსელური როუტერი | 28 |

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია

## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს საზღვაო ბუქსირის დამხმარე ძრავების შესყიდვაზე.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

საზღვაო ბუქსირის დამხმარე ძრავა 3Д-6: 2(ორი) ერთეული

1.2 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს "მომწოდებლის" მიერ საკუთარი ტრანსპორტით და ხარჯებით შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში: 2005 წლის 20 სექტემბრიდან 2005 წლის 31 ოქტომბრამდე.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო "უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისღვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 29 აგვისტოს 11 საათამდე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**4.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ) მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის და წარმოშობის სერტიფიკატი..

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 30 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 31 აგვისტოს 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

7. საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: **2005 წლის 05 სექტემბრის11:00 საათი.**

8. კონკურსში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით

12. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კვაშილავა შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზრვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელეფონი: 8(293) 7-01-48

**შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს**
**საკონკურსო კომისიის წევრები**
**გიორგი ცხადაძე, მაია თევზაძე , სუზანა კვაჭანტირაძე, ირაკლი ქელბაქიანი**

## განცხადება

### საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობებისა და სხვა ბლანკების შესყიდვაზე

**ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი N30**

შესყიდვის ობიექტებია:

ლოტი N1

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა ცალობით | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ბლანკი | 300000 | იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის გამზ N30 | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით. |

ლოტი N2

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა ცალობით | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] ბლანკი | 500 | იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის გამზ N30 | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით. |
| 2 | კავშირის სარეგისტრაციო მოწმობა | 1000 | "------------------" | "------------------" |
| 3 | ფონდის სარეგისტრაციო მოწმობა | 700 | "------------------" | "------------------" |

ლოტიN3

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა ცალობით | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფორმა N1 | 400000 | იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის გამზ N30 | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით. |
| 2 | ფორმა N2 ჟურნალი 200 ფურცლ. | 200 | "------------------" | "------------------" |
| 3 | ფორმა N3 | 100000 | "------------------" | "------------------" |
| 4 | ფორმა N4 | 400000 | "------------------" | "------------------" |
| 5 | ფორმა N5 | 100000 | "------------------" | "------------------" |
| 6 | ფორმა N6 | 100000 | "------------------" | "------------------" |
| 7 | ფორმა N7 | 100000 | "------------------" | "------------------" |
| 8 | ფორმა N8 | 400000 | "------------------" | "------------------" |
| 9 | ოქმების წესების დარღვევის ოქმი | 50000 | "------------------" | "------------------" |
| 10 | ანგარიში | 1000 | "------------------" | "------------------" |
| 11 | ფორმა N1ა | 100000 | "------------------" | "------------------" |
| 12 | მოქალაქეების სპეციმენების ბლანკები | 100000 | "------------------" | "------------------" |
| 13 | ცნობა ქართული | 45000 | "------------------" | "------------------" |
| 14 | ცნობა რუსული | 10000 | "------------------" | "------------------" |
| 15 | კავშირის რეგისტრაციის აღრიცხვის ჟურნალი | 2 | "------------------" | "------------------" |
| 16 | ფონდის რეგისტრაციის აღრიცხვის ჟურნალი | 1 | "------------------" | "------------------" |
| 17 | მისაღების რეგისტრაციის ჟურნალი 200 ფურცლიანი | 4 | "------------------" | "------------------" |
| 18 | საკანცელარიო ჟურნალი | 6 | "------------------" | "------------------" |
| 19 | ცვლილებების აღრიცხვის ჟურნალი | 8 | "------------------" | "------------------" |
| 20 | კადრების აღრიცხვის ფურცელი | 500 | "------------------" | "------------------" |
| 21 | ანბანური ბარათი | 1000 | "------------------" | "------------------" |
| 22 | ნასამართლობაზე მოთხოვნის ბლანკი | 1500 | "------------------" | "------------------" |
| 23 | კონკურსის განაცხადის ბლანკი | 2000 | "------------------" | "------------------" |
| 24 | ალფავიტური ცვლებაზიანი ჟურნალი გვერდების შემდეგი ოდენობით: ა-8გვ; ბ-12გვ; გ-12გვ; დ-6გვ; ე-4გვ; ვ-4გვ; ზ-4გვ; თ-3გვ; ი-5გვ; კ-12გვ; ლ-5გვ; მ-15გვ; ნ-10გვ; ო-4გვ; პ-3გვ; ჟ-3გვ; რ-4გვ; ს-10გვ; ტ-5გვ; უ-4გვ; ფ-4გვ; ქ-5გვ; ღ-4გვ; ყ-3გვ; შ-6გვ; ჩ-8გვ; ც-3გვ; ძ-3გვ; წ-6გვ; ჭ-8გვ; ხ-5გვ; ჯ-1გვ. | 1 | "------------------" | "------------------" |
| 25 | ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი 200 გ. | 4 | "------------------" | "------------------" |
| 26 | შემოსული წერილების აღრიცხვის ჟურნალი | 2 | "------------------" | "------------------" |
| 27 | გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი | 2 | "------------------" | "------------------" |
| 28 | პირადი საქმის ყდა | 300 | "------------------" | "------------------" |
| 29 | სალაროს შემოსავლის ორდერი | 500 | "------------------" | "------------------" |
| 30 | სალაროს გასავლის ორდერი | 500 | "------------------" | "------------------" |
| 31 | მემორიალური ორდერი | 500 | "------------------" | "------------------" |
| 32 | ფორმა 292 ჟურნალი 50 ფურცლ. | 3 | "------------------" | "------------------" |
| 33 | ფორმა 294 ჟურნალი 50 ფურცლ. | 3 | "------------------" | "------------------" |

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა უნდა შეესაბამებოდეს იუსტიციის მინისტრის 2005 წ.

26 მაისის N719 ბრძანებას. კავშირის სარეგისტრაციო მოწმობისა და ფონდის სარეგისტრაციო მოწმობის ბლანკები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 17 თებერვლის N313 ბრძანებას.

ლოტში N1 მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების "განსაკუთრებით დაცული" ფორმებისა და დოკუმენტების პოლიგრაფიულ შესრულებაზე უფლებამოსილ პირებს. ლოტში N2 მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების "დაცული" ფორმებისა და დოკუმენტების პოლიგრაფიულ შესრულებაზე უფლებამოსილ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2005 წლის 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 08 სექტემბრიდან 09 სექტემბრის 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N62ა ტელ 758291**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

- ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ (ლიტი N1-2).

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ(ლიტი N1-2).

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

- ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ (ლიტი N1-2).

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ (ლიტი N1-2).

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N96 2005 წლის 13 სექტემბრიდან 14 სექტემბრის 18:00.**

სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა N507121303, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133. აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.).

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მისაწოდებელი საქონლის (ლოტის) ყველა პოზიციაზე.

სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ნიმუშები შესრულებული ტენდერში მონაწილის მიერ. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ლოტში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები ყველა დასახელებებზე წარმოადგენენ ერთი სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს -ზაზა ჭაბუკიანს**, ტელეფონის ნომერი - 758291, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი N96**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";
- დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";
-საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შEმოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.



დედა ლია გობეჩია, მამა გია, და ქეთი, ბებიები: ლეილა ბარამიძე, თინა და ნათელა ჭურაძეები, სიძე ლადო ჩიკვაიძე, დისშვილი ელენე, მამიდა ნინო, ბიძა ბადრი, მამიდაშვილები თინიკო, ეკა გოგუაძეები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**ირაკლი დავლიანიძე**

**პანაშვიდი: 25, 26 აგვისტო, 16 სთ.**
**მისამართი: კავსაძის ქ. N 4**
**დაკრძალვა 27 აგვისტოს, 15 სთ.**
**გამოსვენება ვაკის სამების ეკლესიიდან.**










შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

## "ცრემლიანი შემოდგომა" მალე გამოვა

უახლოეს მომავალში ცნობილი ქართველი მსახიობის, პანტომიმის თეატრის დამფუძნებლის ამირან შალიკაშვილის წიგნი "ცრემლიანი შემოდგომა" გამოვა. როგორც ავტორმა განაცხადა, წიგნი 500-გვერდიანია. მასში შესულია ამირან შალიკაშვილის სამსახიობო კარიერის დასაწყისის პირველი თვრამეტი წლის მოგონებები. "წიგნი მრავალჟანრობრივია; არის პოეზიაც, პროზაც, ნოველებიც და ლექსებიც", - აღნიშნა შალიკაშვილმა. ამირან შალიკაშვილს შემდეგი პერიოდის შესახებაც აქვს დაგეგმილი წიგნის გამოცემა. ამირან შალიკაშვილი ლექსების ორი კრებულის "პანტომიმა. დუმილის პოეზია" და "ფიროსმანის ხელების" ავტორია.

## ქართული მოდის სამყაროს ახალი ბრენდი შეემატება

უახლოეს მომავალში ქართული მოდის სამყაროში ახალი ბრენდი - "მატერია" გამოჩნდება. როგორც "მატერიის" მენეჯერმა, ირაკლი ნადარეიშვილმა განაცხადა, ახალი კომპანია ძველი მოდელების სახლთან ითანამშრომლებს და რამდენიმე ცნობილ ქართველ დიზაინერს გააერთიანებს; მათ შორის თეონა თავართქილაძეს, თეა შენგელიას, დათუნა სულაკაშვილს, ქეთი კალანდაძეს და სხვებს. "დიზაინერები ამ ბრენდის ნიშნით გამოუშვებენ კოლექციებს, რომლებიც რუსეთისა და უკრაინის მოდის ბაზარზე გაიყიდება. აღნიშნული კოლექციები ქართველი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად საქართველოშიც გაიყიდება", - აღნიშნა ნადარეიშვილმა.

## ქართული მუსიკის ორი დღე ბორჯომში

დღეიდან ბორჯომში "ქართული მუსიკის პირველი ფესტივალი" იწყება. ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავჯდომარე ვაჟა აზარაშვილია. ფესტივალს გახსნის შემოქმედებითი ჯგუფი "ნოსტალგია", რომლის წევრები თავად ვაჟა აზარაშვილი და საქართველოს დამსახურებული არტისტი მერაბ დონაძე არიან. "ფესტივალზე საოპერო და ფოლკლორული მუსიკის საღამოებიც გაიმართება. ფესტივალს დაასრულებს კონცერტი, რომელშიც ცნობილი ქართველი კომპოზიტორები ბიძინა კვერნაძე, მარიკა კვალიაშვილი, რუსუდან სებისკვერაძე, ნუნუ დულაშვილი და სხვები მიიღებენ მონაწილეობას. მათ სიმღერებს მომღერლები: ეთერ კაკულია, თემურ წიკლაური, ნუკრი კაპანაძე, ანსამბლი "ალილო" და სხვები შეასრულებენ", - აღნიშნა აზარაშვილმა. "ქართული მუსიკის პირველი ფესტივალი" 27 აგვისტოს დასრულდება.

***ინტერპრესნიუსი***

## ფსიქოლოგიური თრილერი

"მომხიბვლელი უცნობი" ეს იმ ფილმის სამუშაო სათაურია, რომელშიც ბრუს უილისი და ჰალი ბერი გაუწევენ ერთმანეთს პარტნიორობას. ბერი ასრულებს ფარული აგენტის როლს, რომელიც მეგობრის მკვლელობას იძიებს. უილისი კი მისი ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილია. "ეს არის ფილმი საიდუმლოებების, ტყუილების, ინტერნეტის შესახებ, ეჭვმიტანილები და დამნაშავეები ხშირად ცვლიან როლებს, ართულებენ სიუჟეტს, ძაბავენ სიტუაციებს. ცხადია, ბრიუს უილისის დონის მსახიობი ფილმს კიდევ დამატებით კომპლექსურობას შესძენს", - აცხადებს კინოსტუდია "რევოლუშნ სტუდიოს" ხელმძღვანელი ელენ გოლდსმიტ-ტომასი.



უილისი ახალი ფსიქლოგიური თრილერის ნამდვილი ვარსკვლავი იქნება. "მეექვსე გრძნობის" შემდეგ "მომხიბვლელი უცნობი" ფანებისთვის თავის შეხსენების შესანიშნავი საშუალებაა.

## მსახიობი გაზეთში

მრავალფეროვნება შონ პენისთვის ყველაზე ძვირად ფასობს, ამიტომაც უკვე კარგა ხანია, ის გადასაღებ მოედანს არ სჯერდება და შემოქმედებითი ძალების გამოვლენას კალმითა და ფურცლითაც ცდილობს. "სან ფრანცისკო ქრონიქლმა" - მსხვილმა ამერიკულმა გაზეთმა შონ პენს ბაღდადში დაწერილი პუბლიკაციები ორიოდე წლის წინათაც დაუბეჭდა. ივნისში მსახიობი მეორე ცხელ წერტილს - თეირანს სტუმრობდა და ახლა "სან ფრანცისკო ქრონიქლში" ირანულ სამოგზაურო შთაბეჭდილებებს აქვეყნებს. წერილები ხუთ ნაწილად იბეჭდება.



პირველ ნაწილში პენი მკითხველს ირანული ვიზის მოპოვებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე მოუთხრობს, ასევე წერს ქალების შესახებ, რომელთაც აიძულებენ, ჩადრი ატარონ და წერს საზღვრის გადალახვისას წარმოქმნილ რამდენიმე რთულ სიტუაციაზე, როცა თითის ანაბეჭდები აუღეს.

მსახიობი თეირანში ნანახს ბაღდადურ სიტუაციას ადარებს, ბაღდადს კი მექსიკო სიტის და ამბობს, რომ ქალაქში "ღრიალა ბრბო დაძრწოდა, მანქანები სიგნალებით დადიოდნენ, ჰაერი ბენზინის სუნითა და მტვრით იყო გაჟღენთილი, ტალახიანი მოტოციკლეტები ქარივით დაქროდნენ გამვლელებს შორის, რომლებიც ძლივს ასწრებდნენ გვერდის ავლას".

შონ პენი თეირანში ირანის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდა. პრესის აკრედიტაცია მას პირადად "სან ფრანცისკო ქრონიქლის" აღმასრულებელმა რედაქტორმა ფილ ბრონშტეინმა მისცა. მანვე მონათლა პენი ჟურნალისტად 2003 წლის ნოემბერშიც, როცა მსახიობი ერაყს სადამ ჰუსეინის შეპყრობამდე ცოტა ხნით ადრე სტუმრობდა.

შონ პენმა "ოსკარი" საუკეთესო მსახიობის რანგში "იდუმალი მდინარისთვის" მიიღო. კრიტიკოსებმა დადებითად შეაფასეს მისი როლი ფილმშიც "მე სემი ვარ". ჯერჯერობით მსგავსი შეფასებები პენს, როგორც ჟურნალიტს, არ მიუღია.

## მამაცი გულის გახსენება

23 აგვისტოს 700 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა შოტლანდიელი გმირი უილიამ "მამაცი გული" უოლასი მოკლეს. ამ თარიღის გაცოცხლება ყველაზე ნათლად ისტორიკოსებს შეუძლიათ. ერთ-ერთმა მათგანმა დევიდ როსმა კი არა მარტო გააცოცხლა ეს დღე, უოლასს მთელი წარმოდგენაც მიუძღვნა.

როსი, რომელსაც უოლასზე და სხვა შოტლანდიელ გმირებზე კვლევები აქვს დაწერილი, კილტში გამოეწყო, მახვილი მოიმარჯვა და უესტმინსტერის სააბატოდან ლონდონის ძველ ნაწილში ფეხით იარა. მას ასამდე მხარდამჭერი მისდევდა უკან, ზოგი სალამურზე უკრავდა, ზოგიც ლურჯ-თეთრში გადაწყვეტილ შოტლანდიურ დროშას აფრიალებდა. ეს შოტლანდიური პროცესია სმიტფილდში დასრულდა, სადაც 1305 წლის 23 აგვისტოს ინგლისელებმა უოლასს თავი მოკვეთეს. იქ როსმა თანმხლები პირები წმ. ბართლომეს სახელობის მე-12 საუკუნის ეკლესიაში შეიყვანა და შოტლანდიელი გმირის პატივსაცემად ცერემონია ჩაატარა.

"ეს დღე აქამდეც უნდა აღგვენიშნა. მთელი 700 წლის განმავლობაში არავის აზრადაც არ მოსვლია, რამე გაეკეთებინა ამ კაცის ხსოვნის უკვდავსაყოფად", - აღნიშნა როსმა.

თვითონ კი უოლასის გახსენება სამი კვირის წინ დაიწყო. როსმა ფეხით იარა 725 კილომეტრი შოტლანდიიდან ლონდონამდე, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ აღედგინა უოლასის ბოლო მოგზაურობა თავისი სამშობლოდან. უილიამ უოლასი 35 წლის იყო, როცა 1305 წლის 3 აგვისტოს პატარა სოფელ რობროისტონში შეიპყრეს და ოციოდე დღეში ლონდონში ჩაიყვანეს. იქ დამნაშავედ ცნეს, ცხენს გამოაბეს და ქალაქის ქუჩებში შეკრებილი ბრბოს თვალწინ ათრიეს. შემდეგ ჩამოახრჩვეს, აკუწეს, თავი მოკვეთეს, რომელიც მახვილზე ჩამოაცვეს და ლონდონის ხიდზე გამოფინეს - სხვათა გასაფრთხილებლად. უოლასის სიკვდილის შემდეგ ინგლისის მეფე ედვარდ პირველმა შოტლანდიაზე დაკარგული ძალაუფლება დაიბრუნა.

დევიდ როსი აცხადებს, რომ ამ ცერემონიალს სიმბოლური პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: "ჩვენ ქვეყანას დღესაც სხვა წერტილიდან მართავენ. დროა, შოტლანდიის მმართველებმა გაიღვიძონ და ხალხის სურვილებს მოუსმინონ".

ხალხის სურვილი კი, როგორც ჩანს, თავისუფლებაა იმ დოზით, რა დოზითაც მას შვიდასი წლის წინ ითხოვდა უილიამ უოლასი. უახლესი სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, 5 მილიონიანი შოტლანდიის მეოთხედი ოფიციალური ლონდონიდან დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ოცნებობს.

## მუსიკა კონფლიქტის ზონაში

დირიჟორი დენიელ ბარენბოიმი ორიოდე დღის წინ მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. მან არაბი და ისრაელელი მუსიკოსები შეკრიბა და მათ საერთო კონცერტს უდირიჟორა. საღამოს სიმბოლური ჩანაფიქრი ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ურთიერთობა იყო.

ბარენბოიმი რამალაში მანამდეც ხშირად უნახავთ ხოლმე, მაგრამ ორკესტრთან ერთად პირველად გამოჩნდა. ასამდე მუსიკოსი სრულ ეთნიკურ სიჭრელეს ქმნიდა, ზოგი ისრაელიდან იყო, ზოგი პალესტინიდან, სირიიდან, ლიბიიდან, ეგვიპტიდან და იორდანიიდან.



რამალას 700-კაციან საკონცერტო დარბაზში მსმენელი ფეხზე იდგა, ხოლო ვინც დარბაზში შესვლა ვერ მოახერხა, გარეთ დამონტაჟებულ გიგანტურ მონიტორზე ადევნებდა თვალს კონცერტს.

საღამო პალესტინელ-ამერიკელ ინტელექტუალს ედვარდ საიდს მიეძღვნა. დირიჟორმა ბარენბოიმმა სწორედ საიდთან ერთად დააარსა დასავლურ-აღმოსავლური დივანის ვორკშოპი და ორკესტრი 1999 წელს.

სიმბოლურია ისიც, რომ ორკესტრი სევილიაში დაფუძნდა - იმ ანდალუსიურ ქალაქში, სადაც შუა საუკუნეებში მუსლიმებმა, ქრისტიანებმა და ებრაელებმა საერთო კულტურა ააყვავეს.

ამ სიმბოლოების ფონზე ბარენბოიმმა ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებული ორი მხარე შეახვედრა. დამასკოს მუსიკალური კოლეჯის 21 წლის სტუდენტს ნადიმ ჰასანს ერთი სული ჰქონდა, სანამ ისრაელელებს პირისპირ შეხვდებოდა.

"გავიცანი და მივხვდი, რომ ძალიან ნორმალური ხალხია. ზოგიერთი მათგანი ძალიან შემოქმედებითად არის განწყობილი საქმის მიმართ, მათგან ბევრი რამ ვისწავლე კიდეც", - აცხადებს ის.

ურთიერთობის სურვილი მეორე მხრიდანაც იგრძნობა. ისრაელელი მევიოლინე, 23 წლის რევალ თეოდორუ ამბობს: "ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის ერთმანეთის გაცნობა. ყველას გვესმის, რომ მშვიდობა გვჭირდება, ახლაც ვიკრიბებით ამ ფორუმზე და ვაცნობიერებთ, რომ პოლიტიკური ურთიერთობები კი არა, ადამიანური ურთიერთობები უნდა დავამყაროთ".

ბარენბოიმმა პრესკონფერენციაზე თავისი ცნობილი ფრაზა გაიმეორა, რომ, საბოლოო ჯამში, დედამიწაზე მშვიდობა იზეიმებს. "ამ კუთხის მიმართ უდიდეს სიყვარულს და სიახლოვეს ორი სხვადასხვა ხალხი გრძნობს. არჩევანიც ორგვარი გვაქვს, ან ერთმანეთი უნდა ამოვხოცოთ, ანდა შევიგნოთ, რომ ამ მიწაზე ღირსეულად და თანასწორად ორივემ უნდა ვიცხოვროთ", - დასძინა მან.